ახალი განათლება

2013 წელი, 23 – 29 მაისი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№20 (614) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

ჰარვარდდამთავრებული ბრიყვებიც არსებობენ და უნივერსიტეტიდან გარიცხული გენიოსებიც

რუბრიკის სტუმარია მარიამ ღეკანოზიშვილი

გვერდი 4-5

ახალი წიგნები

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

ალბერტო მორავია
მოწყენილობა

ჯეიმზ ფ. კუპერი
ჯაშუში

გილბერტ კ. ჩესტერტონი
დონ კიხოტის დაბრუნება

25 მაისს გამოვემშვიდობებით „ახალი განათლების“ რედაქციისთვის, ყველაზე საყვარელ ადამიანს — ჯულიეტა ვეშაპიძეს. რედაქციის არსებობის პირველი დღიდან მას ჩვენს ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა, ადგილი, რომელსაც ვეღარავინ დაიკავებს. ძალიან ბევრს ვსწავლობდით მისგან, როგორც პროფესიონალისგან, როგორც უკეთილშობილესი პიროვნებისგან, როგორც უფროსი მეგობრისგან.

ყოველდღე ვგრძნობდით, როგორი მზრუნველობით, სითბოთი და ტაქტით გვასწავლიდა... მას შემდეგაც, როცა რედაქციაში აღარ მუშაობდა, ხშირად ტელეფონით ვურეკავდით და რჩევას ვეკითხებოდით. „ჩვენი გაკვეთილები“ დასრულდა...

„ახალი განათლების“ რედაქცია

CMYK

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

ჰარვარდდამთავრებული ბრიყვებიც არსებობენ და უნივერსიტეტიდან გარიცხული გენიოსებიც

ესაუბრა
მაკა ყიფიანი

– მარიამ, შენ შესახებ საუბარი თავიდან დავიწყოთ. სწავლობდი თბილისის 161-ე საჯარო სკოლაში, შემდეგ უმაღლესში. საზღვარგარეთ სწავლის გასაგძელებლად, სხვადასხვა დროს, რამდენიმე ქვეყანაში მოგიწია წასვლა. მიამბე, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი? საქართველოში არსებული გაცვლითი პროგრამები სტუდენტებს კონკურსში მონაწილეობას, გამარჯვების შემთხვევაში კი, საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებას სთავაზობს. კონკურსანტთა რაოდენობა მაღალია, განსხვავებულია შერჩევის კრიტერიუმები. შენ შემთხვევაში როგორ მოხდა, როგორ ირიცხებიან სტუდენტები ამ სასწავლებელში? საზღვარგარეთ ხომ ყველა უმაღლესი სასწავლებელი თვითონ ადგენს მიღების საკუთარ სტანდარტებს.

– ვსწავლობდი თბილისის 161-ე საშუალო სკოლაში. 1998 წელს ჩავაბარე ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტზე. 2002 წელს წარჩინებით დავამთავრე ბაკალავრიატი და სასწავლებლად გავემგზავრე შვედეთში, კერძოდ ლუნდის უნივერსიტეტში ევროპის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამით. დაფინანსება მოვიპოვე შვედური ინსტიტუტისაგან (Swedish Institute) საკონკურსო შერჩევის შედეგად. კონკურსში გამარჯვებულთა შერჩევა მოხდა წარდგენილი საბუთების (აპლიკაცია, ნიშნების ფურცელი, სამოტივაციო წერილი, რეკომენდაციები) და ინგლისური ენის ცოდნის დონის (TOEFL) საფუძველზე. ამავდროულად გავიმარჯვე ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს" (სოროსის ფონდის სახელით ცნობილი) მიერ გამოცხადებულ ბუდაპეშტის ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის (CEU) სამაგისტრო პროგრამის კონკურსში. არჩევანი საკმაოდ რთული იყო, რადგან ორივე უნივერსიტეტი ძალიან კარგი რეპუტაციით სარგებლობს. საბოლოო ჯამში, შვედეთზე შევჩერდი. არჩევანი განპირობებული იყო გეოგრაფიით და არა სწავლისა და უნივერსიტეტის ხარისხით. ლუნდი შვედეთის უკიდურეს სამხრეთში მდებარეობს და ორესუნდის ხიდით უერთდება დანიას. შვედეთში მოგზაურობა ჩემთვის პირველი მოგზაურობა იყო ასეთ შორ მანძილზე. ალბათ ცოტა რამეს თუ მოუხდენია მსგავსი შთაბეჭდილება, როგორც ამ პირველ შორეულ მგზავრობას მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყანაში. თუმცა, რასაკვირველია, იყო საკმაოდ რთული მომენტებიც: შვედეთის კლიმატი, რომელიც ზამთრის პერიოდში ძალიან დეპრესიული აღმოჩნდა, განსხვავებული კულტურა, წასაკითხი მასალების სიმრავლე და ა.შ. მაგრამ სიახლე და სირთულეები მედალიონის ორი მხარეა და თუკი ადამიანს აქვს მოტივაცია და მიზანი, ყველაფრის დაძლევა შეიძლება.

შვედეთიდან დაბრუნების შემდეგ დავიწყე მუშაობა საქართველოს ევროინტეგრაციის სამინისტროში. 2005 წელს კვლავ სასწავლებლად გამზავრება გადავწყვიტე, ამჯერად – აშშ-ში. ვიცოდი მასკის პროგრამის შესახებ, რომელიც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით აგზავნიდა სტუდენტებს მაგისტრატურაში. კონკურსი სამი ეტაპისაგან შედგებოდა (აპლიკაცია, გასაუბრება და ტესტები). სამივე ეტაპი წარმატებით გავიარე და 2005 წლის აგვისტოს გავემგზავრე აშშ-ში, კერძოდ სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სასწავლებლად. მასკის პროგრამის დასრულების შემდეგ საქართველოში დაბრუნდი (მასკის პროგრამა ითვალისწინებდა, რომ პროგრამის ყველა მონაწილე, პროგრამის დასრულებისთანავე, დაბრუნებულიყო საქართველოში, მინიმუმ 1 ან 2 წლით) და დავიწყე მუშაობა ეუთოს საქართველოს მისიის ოფისში, პროექტების კოორდინატორის პოზიციაზე. ამავდროულად, ვკითხულობდი ლექციებს ჩემს მშობლიურ ამერიკულ ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში. ერთი წლის შემდეგ კვლავ სასწავლებლად გამზავრება გადავწყვიტე და ჩავაბარე სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამაზე.

– საინტერესოა ამ სასწავლებლის ისტორია, რამდენწლიანია და რა ღირს სწავლა? რთულია სტიპენდიის შენარჩუნება? რა პროფესიას ეუფლები, რომელ კურსზე ხარ?

– სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტი აშშ-ში ერთ-ერთი ყველაზე ძველი უნივერსიტეტია – დაფუძნებულია 1801 წელს. სადოქტორო პროგრამა აშშ-ში, საშუალოდ, 5-7 წელი გრძელდება. სწავლის საფასური განსხვავდება ე.წ. რეზიდენტის სტატუსის მიხედვით, არსებობს ე.წ. in-state და out of state სტატუსი. პირველის შემთხვევაში სწავლის საფასური გაცილებით ნაკლებია (9 საკრედიტო საათს პლუს ჯანმრთელობის დაზღვევა, დაახლოებით – 5000 აშშ დოლარი). ასეთი სტატუსით სარგებლობენ სტუდენტები, რომელთაც აქვთ ე.წ. Graduate Assistantship (ანუ რაიმე სახის ფინანსური დახმარება უნივერსიტეტის რომელიმე დეპარტამენტის ბიუჯეტიდან). სხვა შემთხვევაში, სწავლის საფასური ორჯერ ძვირია (9 საკრედიტო საათს პლუს ჯანმრთელობის დაზღვევა, დაახლოებით – 10 000 აშშ დოლარი).

მეხუთე წელია, პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის დოქტორანტურაში ვსწავლობ. დოქტორანტურის სტუდენტებს სტიპენდია მხოლოდ 5 წლის განმავლობაში ეძლევათ. 5 წლის შემდეგ სტუდენტმა თავად უნდა მოიძიოს დაფინანსების სხვა წყარო.

– ზოგიერთი სასწავლებელი, უცხოეთში, საკონკურსო საწყისებზე, ნიჭიერი სტუდენტებისათვის თავად აწესებს სტიპენდიებს. წარჩინებულ სტუდენტებს გარკვეული პრივილეგიებიც აქვთ, როგორ იყო შენ შემთხვევაში?

– ლუნდის უნივერსიტეტში ვსწავლობდი შვედური ინსტიტუტის დაფინანსებით, რომელიც ყოველთვიურ სტიპენდიას მოიცავდა. ყოველი სემესტრის ბოლოს ვუგზავნიდი მათ ნიშნების ფურცელს, რათა მეჩვენებინა ჩემი შედეგები. შვედეთში საკმაოდ განსხვავებული შეფასების სისტემაა. იქ არ არსებობს არც ხუთბალიანი და არც ასქულიანი შკალა, მხოლოდ ჩათვლა (pass), გამორჩევით ჩათვლა (pass with distinction) და არჩათვლა (fail). სტიპენდიის შესანარჩუნებლად ჩათვლა ყველა საგანში იყო საჭირო.

სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტში ორწლიან სამაგისტრო პროგრამაზე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ედმუნდ მასკის სტიპენდიით ვიყავი, რომელიც რამდენიმეეტაპიანი კონკურსის საფუძველზე მოვიგე. პირველ ეტაპზე, საბუთები ჩავაბარე IREX-ის თბილისის ოფისში (დიპლომი, ნიშნები, რეკომენდაციები, აპლიკაციის ფორმა, სამოტივაციო წერილი). მეორე ეტაპი გასაუბრებისაგან შედგებოდა. მესამე ეტაპზე ჩავაბარე TOEFL და GRE. მაისში მივიღე დადებითი პასუხი და აგვისტოში სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტში გავემგზავრე. სტიპენდიის შესანარჩუნებლად საშუალო სემესტრული ნიშანი B-ზე დაბალი არ უნდა ყოფილიყო.

მასკის პროგრამის ერთ-ერთი სავალდებულო და საინტერესო ნაწილია საზაფხულო პრაქტიკა (summer internship) რომელიმე ამერიკულ ორგანიზაციაში. საზაფხულო პრაქტიკა გავიარე ქალაქ ვაშინგტონში სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრში (Center for Strategic and International Studies), ევროპის ენერგოპოლიტიკის პროგრამულ ნაწილში. ეს ძალიან საინტერესო გამოცდილება იყო. სტრატეგიული კვლევების ცენტრი წამყვანი კვლევითი ორგანიზაციაა. ტარდებოდა მრავალი შეხვედრა, სემინარი და კონფერენცია წამყვანი ექსპერტების მონაწილეობით.

მასკის პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის თავზე გადავწყვიტე დოქტორანტურაში ჩამებარებინა. სამაგისტრო თეზისის წარჩინებით დაცვისას კომისიის წევრებმა მითხრეს, რომ დოქტორანტურაში სწავლის გაგძელების შემთხვევაში მათი სრული მხარდაჭერა მექნებოდა. ამიტომ გადავწყვიტე, კვლავ სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტში მეცადა სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარება. გავაგზავნე მოთხოვნილი საბუთები (დიპლომები, ნიშნები, რეკომენდაციები, აპლიკაციის ფორმა, სამოტივაციო წერილი). რამდენიმე თვეში დადებითი პასუხი მივიღე. რაც მთავარია, სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტმა 5-წლიანი სრული დაფინანსება გამოყო. სადოქტორო პროგრამა აშშ-ში, საშუალოდ, 5-7 წელი გრძელდება. ამჟამად ჩემთვის ეს მეხუთე წელია და მომავალ წელს ვგეგმავ დისერტაციის დაცვას.

წარჩინებული სტუდენტებისათვის სხვადასხვა გრანტები არსებობს. მაგალითად, ყოველ წელს ტარდება კონკურსი კვლევითი სამოგზაურო გრანტებისათვის. პირადად მე ორჯერ ვიმოგზაურე ევროპაში სამოგზაურო გრანტით. არსებობს ასევე საკონფერენციო გრანტები. რამდენჯერმე მივიღე მონაწილეობა სხვადასხვა კონფერენციაში ასეთი გრანტების წყალობით. სამწუხაროდ, ფინანსური კრიზისი მრავალი უნივერსიტეტის ბიუჯეტზე მწვავედ აისახა, რის გამოც ბოლო 5 წლის განმავლობაში გრანტების რაოდე-

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

ნობა შედარებით შეზღუდულია.

ლუნდის უნივერსიტეტიდან ერთკვირიანი ჯგუფური სასწავლო ვიზიტით ვესტუმრეთ ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტებს ბრიუსელში. ვიზიტი საინფორმაციო ხასიათის იყო და საშუალება მოგვეცა გავსაუბრებოდით და სამაგისტრო თეზისთან დაკავშირებით ინტერვიუები ჩაგვეტარებინა ევროკავშირის ინსტიტუტებში მომუშავე ბიუროკრატებთან.

სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტში, სადოქტორო პროგრამაზე სწავლისას, რამდენჯერმე ვიმოგზაურე ევროპის სახვადასხვა ქვეყანაში (ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, პოლონეთი). ეს იყო ჩემი დისერტაციის თემასთან დაკავშირებული კვლევითი ვიზიტები ზაფხულის თვეებში. ორჯერ გავიმარჯვე ჩვენი უნივერსიტეტის ბაზაზე სამოგზაურო გრანტის კონკურსში, რამაც შესაძლებელი გახადა ევროპაში მოგზაურობა.

– იმ სასწავლებელში, სადაც შენ სწავლობ, ალბათ, ბევრი ცნობილი ადამიანი სწავლობდა. ვინ არიან ისინი, მოკლედ მიამბე მათ შესახებ.

– გააჩნია როგორ განვსაზღვრავთ „ცნობილს“ – ცნობილი სად? ცნობილი რით? ცნობილი ვისთვის? შემიძლია ჩამოვთვალო ცნობილი პროფესორები პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგში, რაც არაფრისმთქმელი იქნება სხვა პროფესიის ადამიანებისათვის.

და კიდევ, „ცნობილი“ ადამიანი ხშირად კარგი იმიჯის შედეგია და არა რაიმე განსაკუთრებული ღირსების.

– რა შეგიძლია გვითხრა, სასწავლო პროგრამებისა და ლექციების შესახებ... რამდენადაც ვიცი, ასეთ სასწავლებლებში ლექციების წასაკითხად ცნობილ ადამიანებს იწვევენ

– ვფიქრობ, ეს ძალიან მისასალმებელი პრაქტიკაა. ვისურვებდი საქართველოშიც დაინერგოს მსგავსი საუნივერსიტეტო ტრადიცია. სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტში, ისევე როგორც ლუნდის უნივერსიტეტში, მრავალი სტუმარი და სპიკერი გვყოლია. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ამ გრძელ სიაში ელჩები, პოლიტიკოსები თუ გამოჩენილი პროფესორები ნამდვილად არ წარმოადგენს იშვიათობას.

– ზოგადად, რა შეგიძლია თქვა ამერიკულ განათლების სისტემაზე. ალბათ ეს ძალიან ვრცელი თემაა, მაგრამ იმის შესახებ მაინც, რასთანაც უშუალოდ გაქვს შეხება

– ეს მართლა ვრცელი თემაა და გამიჭირდება მოკლედ საუბარი. უბრალოდ ვიტყვი, რომ არ არსებობს სრულყოფილი სისტემა. თუმცა, მიმაჩნია, რომ ზოგადად ამერიკული უნივერსიტეტები, ევროპის უნივერსიტეტებთან შედარებით, უფრო მაღალი ხარისხით გამოირჩევა. ამერიკული განათლების ყველაზე სუსტი რგოლი დაწყებითი და საშუალო სკოლაა. ასევე საკმაოდ პრობლემატურია ბავშვების მიმართ ინდივიდუალური მიდგომის არარსებობა. ზოგიერთ შემთხვევაში, სწორხაზოვან და შაბლონურ მიდგომებს სავალალო შედეგებამდე მივყავართ. ბავშვს, რომელიც ქცევის წესებით იმდენადაა შეზღუდული, რომ შესვენების დროს, სკოლის დერეფანში, თანატოლებთან თავისუფლად საუბარი ეკრძალება, სკოლის გარეთ უწევს ენერგიის მიმართვა. ხოლო შედარებით მოზრდილ ასაკში იღებს ავტომატს და...

– სწავლის პარალელურად გაქვთ თუ არა მუშაობის შესაძლებლობა? უცხოეთში, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დაწესებულებაში რეგისტრაციის შედეგად, უცხოელ სტუდენტებს, სწავლის პირველივე წლიდან, უფლება აქვთ იმუშაონ ნახევარ განაკვეთზე

– აშშ-ში, სადოქტორო პროგრამის წესების თანახმად, უფლება მაქვს ვიმუშავო 20 საათი უნივერსიტეტის კამპუსზე. ამჟამად ვმუშაობ ასისტენტ-მკვლევრად სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის სენი უოქერის სახელობის საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტში. ჩემს პროფესორთან ერთად ვმუშაობ სტატიაზე „გერმანიის წამყვანი როლი განახლებად ენერგორესურსებში“ (German Leadership in Renewable Energy Sources).

მანამდე, ორი წლის განმავლობაში, ვმუშაობდი ასისტენტ-ლექტორად სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. ბაკალავრიატის სტუდენტებს ვასწავლიდი სხვადასხვა კურსებს ევროკავშირისა და ევროპული პოლიტიკის თემატიკაზე.

რაც შეეხება კამპუსის გარეთ მუშაობას, ამისათვის საჭიროა აშშ-ს საემიგრაციო სამსახურიდან სპეციალური ნებართვის მიღება, რაც საკმაოდ რთულ პროცედურებთანაა დაკავშირებული. პირადად მე, არასოდეს მიცდია, რადგან დოქტორანტურაში სწავლა ძალიან დატვირთულ რეჟიმში მიმდინარეობს.

– როგორ ცხოვრობენ ამერიკელები, ახალგაზრდები, რა არის მათთვის ყველაზე პრიორიტეტული, რომელი დარგია მეტად განვითარებული?

– აშშ-ში ყველა დარგი განვითარებულია, მაგრამ, ალბათ, მაინც ბიზნესს და ფინანსებს გამოვყოფდი. რაც შეეხება პრიორიტეტებს აკადემიურ სფეროში, ახალი არ იქნება იმის თქმა, რომ ბიოინჟინერია და ახალი ტექნოლოგიები წარმოადგენს პრიორიტეტულ სფეროებს. პოლიტიკური მეცნიერებების გადმოსახედიდან, ამჟამად, საკმაოდ პოპულარულია ჩინეთთან დაკავშირებული კვლევები და პროგრამები, ასევე კვლევის მეთოდები. აქვე დავამატებ, რომ აშშ-ში პოლიტიკურ მეცნიერებებში გამოყენებულ ზოგიერთ კვლევის მეთოდზე ჩემი შეხედულება მაქვს, მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა.

ხალხი ყველგან ხალხია. პრობლემები არსებობს ყველა ქვეყანაში. უბრალოდ, განსხვავდება ამ პრობლემების გამოხატულება და ფორმა, მაგრამ არსი ერთია – ფულის და სიყვარულის ნაკლებობა თუ მეტობა.

– სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს?

– თავისუფალ დროს ვვარჯიშობ, ვთამაშობ ჩოგბურთს და უბრალოდ ვატარებ დროს მეგობრებთან.

– მომავალი როგორ გესახება, სად აპირებ დამკვიდრებას?

– ზოგადად არ მიყვარს გეგმის მიხედვით ცხოვრება, რადგან ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით. ამიტომ წინასწარ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი. თუმცა, თავს საკმაოდ კომფორტულად ვგრძნობ აშშ-ში და აქვე ვაპირებ პროფესიული ცხოვრების გაგრძელებას. ამავდროულად აქტიურად ვარ ჩაბმული ხვადასხვა პროექტებში საქართველოშიც. რადგან ჩემი კვლევის ინტერესი ევროპაა, კერძოდ კი ევროკავშირის ენერგოპოლიტიკა, ხშირად ვმოგზაურობ ევროპაშიც. შეიძლება ითქვას, რომ ჩემს მომავალს სამ გეოგრაფიულ განზომილებაში ვხედავ. ვფიქრობ, ადამიანი გახსნილი უნდა იყოს სხვადასხვა შესაძლებლობების, პერსპექტივებისა თუ შემოთავაზებების მიმართ. ბუნებრივად არსებობს სივრცე, საზღვრები კი ხელოვნური შემოქმედებაა.

– როგორ ფიქრობ, საქართველოში დასაქმებაში საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?

– შემეძლო ერთობ სტანდარტული პასუხი გამეცა ამ კითხვაზე და ჩამომეთვალა მრავალი მიზეზი და ფაქტორი, თუ როგორ დამეხმარება საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში „კარგი“ სამსახურის მოძიებაში, მაგრამ ამ შეკითხვას ასე ვუპასუხებ:

რეალურად ცხოვრება, ძირითადად, შედგება იმისგან, რასაც ვერ ვსწავლობთ წიგნებიდან. განათლება და გამოცდილება კი გვეხმარება გავაცნობიეროთ ის, რაც ვერ ვისწავლეთ.

მიმაჩნია, რომ ადამიანების დასაქმება მათი პროფესიონალიზმის, კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების საფუძველზე უნდა ხდებოდეს და არა დიპლომის წარმომავლობის, ოჯახური წარმომავლობის, თანამდებობიანი ნაცნობ-მეგორებისა თუ პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით. ჰარვარდდამთავრებული ბრიყვებიც არსებობენ და უნივერსიტეტიდან გარიცხული გენიოსებიც.

მოსწავლე შემოქმედი

გთავაზობთ მეექვსე საავტორო სკოლასთან არსებული გურამ რამიშვილის სახელობის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტ-ლაბორატორიის მე-2 კონფერენციის თემებს, ხელმძღვანელი – რუსუდან მეგრელიშვილი

ალექსანდრე კუპრინი
დემირ-კაია
აღმოსავლური ლეგენდა

ქარი ჩადგა. შეიძლება დღეს ზღვაში მოგვიწიოს ღამის გათენებამ. ნაპირამდე ოცდაათ კილომეტრზე მეტია. ორანძიანი ნავი ზანტად ირხევა. სველი იალქნები მძიმედ კიდია.

რძისფერი ნისლი მჭიდროდ შემოეხვია ჩვენს ხომალდს.

არც ვარსკვლავები ჩანს, არც ცა, არც ღამე.

ცეცხლს არ ვანთებთ.

სეიდ-აბლი, მოხუცი, ჭუჭყიანი, ფეხშიშველი კაპიტანი, ჩუმი, დინჯი, გულშიჩამწვდომი ხმით ყვება ძველ ამბავს, რომლისაც მე მთელი გულით მჯერა. მჯერა იმიტომ, რომ ღამე ასე უცნაურად მდუმარეა, იმიტომ, რომ ჩვენს ქვევით უხილავ ზღვას სძინავს და ჩვენ, ნისლში გახვეულები მშვიდად ვცურავთ თეთრ, სქელ ღრუბლებში.

„მას დემირ-კაია ერქვა. თქვენს ენაზე ეს რკინის კლდეს ნიშნავს. ასე მას იმიტომ ეძახდნენ, რომ ამ ადამიანმა არ იცოდა არც დანდობა, არც სირცხვილი, არც შიში.

იგი სხვა ავაზაკებთან ერთად სტამბულის შემოგარენში, დალოცვილ თესალიაში, მთიან მაკედონიასა და ბულგარეთის ნაყოფიერ მიწებზე ყაჩაღობდა. მისი ხელით ოთხმოცდაცხრამეტი ადამიანი მომკვდარიყო, მათ შორის – ქალები, ბავშვები და მოხუცები.

ერთხელაც მთებში ფადიშაჰის არმიამ იგი ალყაში მოაქცია – ალაჰმა ადღეგრძლოს ფადიშაჰი!

სამი დღის განმავლობაში იგერიებდა დემირ-კაია მათ, ისე, როგორც მგელი ძაღლების ხროვას. მეოთხე დღეს, გათენებისას, მან გაქცევა მოახერხა, ოღონდ მარტომ, მისი ამხანაგების ნაწილი გააფთრებული დევნის დროს დაიღუპა, დანარჩენებმა ჯალათის ხელიდან მიიღეს სიკვდილი, სტამბულში, მრგვალ მოედანზე.

დემირ-კაია კოცონთან იწვა მიუვალ გამოქვაბულში, სადაც იგი მთის მწყემსებმა შეიფარეს. დაჭრილი იყო და სისხლისგან იცლებოდა.

შუა ღამით მას ბრწყინალე ანგელოზი გამოეცხადა, მოელვარე ხმლით. იცნო დემირ-კაიამ სიკვდილის მაუწყებელი, ციდან მოვლენილი მაცნე – აზრაილი. და თქვა:

– დაე, აღსრულდეს ალაჰის ნება, მე მზად ვარ!

მაგრამ ანგელოზმა უთხრა:

– არა, დემირ-კაია, შენი დრო ჯერ არ მოსულა. უსმინე ღვთის ნებას: როდესაც შენ სიკვდილის სარეცლიდან ადგები, წადი, ამოთხარე შენი განძი მიწიდან და აქციე ოქროდ. შემდეგ აღმოსავლეთისაკენ გაეშურე და იარე მანამ, სანამ შვიდი გზის გასაყარს არ მიადგები. იქ ააშენე სახლი გრილი ოთახებით, ფართო ტახტებით, შადრევნით – სუფთა წყლით განბანვისათვის, საჭმლით და სასმლით – მგზავრებისთვის, არომატული ყავითა და კეთილსურნელოვანი ნარგილეთი – დაქანცულებისათვის. ყველას დაუძახე შენთან, ყველა გამვლელს მოუხმე და ემსახურე, როგორც უკანასკნელი მონა. შენი სახლი მათი სახლი იქნება, შენი ოქრო – მათი ოქრო, შენი შრომა – მათი დასვენება. და იცოდე, რომ ერთხელაც დაივიწყებს ალაჰი შენს მძიმე ცოდვებს და თავისი შვილების სისხლს გაპატიებს.

დემირ-კაიამ ჰკითხა ანგელოზს:

– კი, მაგრამ, რა ნიშანს მომცემს უფალი, რომ ჩემი ცოდვები შენდობილია?

ანგელოზმა უპასუხა:

– კოცონიდან, რომელიც შენს გვერდით იფერფლება, აიღე გამომწვარი მუგუზალი და ჩარგე მიწაში. და როცა მკვდარი ხე ქერქით შეიმოსება, ყლორტები ამოუვა და ნაყოფს მოისხამს, მაშინ იცოდე, რომ ცოდვების გამოსყიდვის დრო დაგიდგა.

მას შემდეგ ოცი წელი გავიდა. ფადიშაჰის მთელ მხარეში – ალაჰმა ადღეგრძელოს იგი! – დადიოდა ხმები შვიდი გზის გასაყარზე, ჯედადან სმირნამდე მიმავალ გზაზე წამომართული სასტუმროს შესახებ.

ღატაკები იქიდან ფულით სავსე ჩანთებით გამოდიოდნენ, მშივრები – დანაყრებულები, დაღლილები – გამოცოცხლებულები, დაჭრილები – გამთელებულები.

ოცი წლის მანძილზე ყოველ საღამოს შესცქეროდა დემირ-კაია საოცარი ხის მორს, რომელიც ეზოში ჰქონდა დარგული, მაგრამ ის მაინც შავი და უსიცოცხლო რჩებოდა.

დემირ-კაიას არწივის თვალები დაებინდა, მისი ძლიერი, ჯან-ღონით სავსე სხეული მოიხარა, თმა ანგელოზის ფრთებივით გაუთეთრდა.

ერთხელ, გამთენიისას მას ცხენის ფლოქვების ხმა შემოესმა. გზაზე გამოვიდა და დაინახა მხედარი, რომელიც გაოფლილ ცხენს მოაჭენებდა. მივარდა დემირ-კაია მასთან, აღვირს სტაცა ხელი და მხედარს შეევედრა:

– ჩემო ძმაო, შემოდი ჩემთან სახლში, გაგრილდი, მიიღე საზრდო, დატკბი სურნელოვანი ნარგილეთი.

მაგრამ მგზავრმა ბრაზით დაიყვირა:

– გამიშვი ბებერო, გამიშვი!

შემდეგ მან დემირ-კაიას სახეში შეაფურთხა, თავზე მათრახი გადაუჭირა და ცხენი გააჭენა.

ადუღდა დემირ-კაიაში ავაზაკური სისხლი. მიწიდან მძიმე ქვა აიღო, თავხედისაკენ ისროლა და თავი გაუტეხა მას. ოდნავ შეირხა მხედარი უნაგირზე, თავზე ხელი იტაცა და გზაზე ავარდნილ მტვრის ბუღში ჩავარდა.

გულისფანცქალით მივარდა მასთან დემირ-კაია და დამწუხრებულმა თქვა:

– ჩემო ძმაო, მე შენ მოგკალი!

მაგრამ მომაკვდავმა მიუგო:

– შენ არ მოგიკლავარ, ეს ალაჰის ხელია. მისმინე: ჩვენი ვილაიეთის ფაშა სასტიკი, ძუნწი, უსამართლო ადამიანია. ჩემმა მეგობრებმა მის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს, მაგრამ მე ჯილდომ, დიდმა ფულმა მომხიბლა და მათ გაცემას ვაპირებდი. და აი, როცა მე დასაბეზღებლად მივიჩქაროდი, შენმა ნასროლმა ქვამ შემაჩერა. ღმერთს ასე სურს. მშვიდობით ძმაო!

დამწუხრებული დაბრუნდა დემირ-კაია თავის ეზოში. სიკეთისა და სინანულის კიბე, რომელზეც იგი ასე მოთმინებით ადიოდა მთელი ოცი წელი, თვალის დახამხამებაში დაინგრა.

სასოწარკვეთილმა გაიხედა იქითკენ, საითაც მისი მზერა ყოველდღიურად იყო მიმართული – შავი, დანახშირებული მუგუზლისკენ. უცებ კი – საოცრება! – მის თვალწინ მკვდარ ხეს ყლორტები ამოუვიდა, კვირტებით დაიფარა, ფოთლებით შეიმოსა და ნაზი ყვითელი ყვავილები მოისხა.

მაშინ დაეცა დემირ-კაია და სიხარულისგან ატირდა, რადგან მიხვდა, რომ ყოვლადმოწყალე ალაჰმა თავისი გამოუთქმელი სიბრძნით აპატია მას ოთხმოცდაცხრამეტი დაღუპული სიცოცხლე ერთი მოღალატის მოკვლის ფასად.

თარგმნა ნატალი კაკაბაძემ
XI კლასი

→ 4

მოსწავლე შემოქმედი

ნაცრისფერი რეალობის გაფერადება, ალტერნატიული სამყაროს შექმნა

ჩემს თემაში ნაირა გელაშვილის მოთხრობის „მივემგზავრები მადრიდს“ უშუალო შთაბეჭდილებას წარმოგიდგენთ.

მოთხრობის სიუჟეტი ძალიან ორიგინალურია (მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ XX საუკუნის II ნახევარშია შექმნილი – კომუნისტების დროს).

მოთხრობის მთავარი პერსონაჟი, რომელსაც ნერვები ღალატობს, რადგან არის ინდივიდი და არა საბჭოური მასის ნაწილი, გადაწყვეტს ცოტა ხნით მაინც გაექცეს სოციალისტურ სინამდვილეს, ფაბრიკა-ქარხნების საყვირებს, ხუთწლედის გეგმების შესრულებას. სად უნდა გაიქცეს ბედკრული საბჭოელი მსოფლიოსაგან რკინის ფარდით გამიჯნული ქვეყნიდან? და აი, სანდრო ლიჩელმა ოცნება აირჩია ხსნის გზად. სამსახურში იტყუება, შვებულებაში მივდივარო, ცოლთან ამბობს – მივლინებაში მიწევს წასვლაო, საყვარელთან – ქუთაისში, ცოლის ნათესავებთანო, ქუჩაში შემხვედრ ნაცნობთან – ერთი სიტყვით...

სანდრო ლიჩელი ბავშვობის მეგობარს მიადგება, საავადმყოფოს მთავარ ექიმს და დროებით თავშესაფარს სთხოვს: იზოლირებულ პალატას, რომელსაც არავინ შეაღებს. ლიჩელი ერთგვარ ოაზისს ითხოვს ნაცრისფერი სინამდვილის გასალამაზებლად: მას ოცნებისთვის სჭირდება თავშესაფარი. ლიჩელი მადრიდზე ოცნებობს. მეგობართან ერთად ყოველ საღამოს იღებს მიქსტურა სარაჯიშვილს, რომელიც სინამდვილეში კონიაკის ბოთლია და...

კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები მახსენდება ამაზე, კაროლინა (გერმანელი ქალი) ეუბნება თარაშ ემხვარს, უკანასკნელ რომანტიულ რაინდს: „თქვენ მეოცნებე ბრძანდებით, ჰერ ემხვარ და მეოცნებეთა მეურნეობა ზეცაშია“. ერთი სიტყვით, ლიჩელი ზეცაშია, მეგობარიც აიყოლია, ყველაზე მკაცრი და პრაგმატული ხელობის კაცი.

ასე ვხედავ მე მას: უცბად ზურგში რაღაც მწარე ტკივილი იგრძნო, რაღაცამ მისი უხეში კანი შუაზე გადახსნა და ზურგზე ორი ულამაზესი, მბზინავი ფრთა გამოუვიდა. ფრთები მოსინჯა, ერთი-ორჯერ კარგად მოიქნია, ოცნებამ ფრთები უკვე შეაბა, ახლა ცოტაოდენი ფანტაზიაც ჩართო და მიწიდან მოწყვეტილი თეთრ მთვარეს ეამბორა, სანდრო ლიჩელი გაფრინდა.

Escapar del universe – სამყაროდან გაფრენა, სანდრო ლიჩელი იმ მფრინავთა (მეოცნებეთა) რიცხვს შეუერთდა, რომელთაც ეშინიათ „მეოცნებეთა მეურნეობაში“ დაშვება. სანდრო დიდი სიჩქარით მიფრინავდა პატარ-პატარა კუნძულების თავზე და „სარაჯიშვილი“-ს ღრუბლებიდან ბუნდოვნად არჩევდა მოახლოებულ მადრიდს. უსახელო პალატამ დაშვება განახორციელა, სანდრომ სომბრერო მოირგო, გიტარა გადაიკიდა და მადრიდის ვიწრო ქუჩებში გადაეშვა, გზაში კონიაკს ყლურწავდა (მადრიდში დასარჩენ ვადას იხანგრძლივებდა) და მადრიდელ შარმიან ღამაზმანებს სომბრეროს მოხდითა და გაზეპირებული ესპანური ფრაზებით ეკეკლუცებოდა. ხანდახან მისი თანამგზავრი, მთავარი ექიმიც გამოჩნდებოდა ხოლმე, ქუჩებში მორბენალს ხელში წითელი ნაჭერი ეჭირა, შავ თაგვებს დიდი სიმამაცით დასდევდა და დროდადრო გაჰყვიროდა „ოლეე...“

მოვლენების დრამატული შემობრუნება ხდება მოულოდნელად. ერთ დღეს მეგობარი სამსახურში არ გახლდათ. პროფესორს შემოვლა ჰქონდა და ხელშეუხებელი, ტაბუდადებული პალატის კარი შეაღო. სარაჯიშვილით მთვრალი ლიჩელი ფრიად ..... სახით მოჩანდა საწოლიდან. ტემპერატურის მრუდი (რომელიც საწოლის თავზე დაკიდებულ ტაბლოზე იყო წარმოდგენილი) აშკარად საშინელ ანთებას მიუთითებდა. და აი, განაჩენი გამოტანილია: ლიჩელს ბრმანაწლავს აჭრიან.

უეცრად მადრიდს ნაცრისფერი ღრუბლები გადაეკრა, თეთრ მთვარეს დიდი წითელი ვარსკვლავი გადაეფარა და ზეცისკენ მისწრაფულ ადამიანებს სირენითა და დამაბრმავებელი შუქით ძებნა დაუწყო. ეს იყო საბჭოთა კავშირი, მანქანა, რომლიდან გადასვლა ბევრს უნდოდა, მაგრამ მისი აკრეფილი სიჩქარის გამო ეს, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო, ვინც გაბედავდა კი სიკვდილს ვერ გადაურჩებოდა. ქვეყანა სავსე იყო პრაგმატული და გაწონასწორებული კომუნიტებით, ადამიანებით, რომლებიც ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ და ყველანაირი ოცნების ნარჩენებსაც ამსხვრევდნენ, კლავდნენ ადამიანს, არა ხორციელად, არამედ სულიერად და ართმევდნენ ყველაზე ძვირფასს, წარმოსახვის და ოცნების უნარს. ამ მანქანაში დაბადებულ ყველა ადამიანს სამშობიაროშივე ჰქონდა სასიკვდილო განაჩენი გამოტანილი: მაგრამ არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც „მეოცნებეთა მეურნეობაში“, ზეცაში უშიშრად მიემგზავრებოდნენ.

„ოცნებაო, ჩემო ძველო, ვართ ღამეთა მთეველი,
ბევრი, ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი.“

– წერდა გალაქტიონი, „გამოუსწორებელი მეოცნებე“, როგორც თავად უწოდებდა თავს.

ოცნებიდან გამოქცეული სანდრო ლიჩელი თავბრუდამხვევ ეთილენისელის ნისლში აღმოჩნდა, მის თვალწინ რაღაც საშინელება ხდებოდა. გაგიჟებული ყვიროდა – მადრიდი გადამიწვეს!!! ხედავდა გადამწვარ ქუჩებს და დანახშირებულ კაფეებს, მუსიკა აღარსად ისმოდა, მხოლოდ ხის შემზარავი ტკაცუნი ისმოდა ქალაქში. განადგურება, აი ყველაზე დიდი შემოქმედება და ნიჭი ამ წითელი მანქანისა. უცბად ტკივილი იგრძნო, მაგრამ „სარაჯიშვილი“-ს წყალობით მალევე გაუქრა, ცაში ნელ-ნელა თეთრი დირიჟაბლი აიწია და გაუყვა ღრუბლებზე დახატულ მუსიკალურ ნოტებს.

ლიჩელის სიტყვები: „მე ამომაჭრეს ჩემი მადრიდი“ – ტრაგიკომიკურად ჟღერს. საბჭოთა მოქალაქეს, ამხანაგ ლიჩელს ოცნების თავისუფლება არა აქვს. ოცნებებიც დაპროგრამებული უნდა იყოს და უნდა ემსახურებოდეს საბჭოთა აღმშენებლობის დიდ იდეას. დიახ, „მოდის რუსთავის ფოლადი“ – ამ სიტყვებზე თუკი ცრემლი მოგადგება, სიამაყის ცრემლი უნდა იყოს.

სანდრო გელოვანი
XI კლასი

შეხვედრა ავტორთან

ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლის Iა და Iბ კლასის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა „დედა ენის“ სახელმძღვანელოს ავტორს, ილიას უნივერსიტეტის პროფესორს, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს, ქალბატონ **ნათელა მაღლაკელიძეს** უმასპინძლეს. სკოლა სულ რაღაც სამ წელს ითვლის, თუმცა თავისი სიტყვის თქმა უკვე მოასწრო. ყოველწლიურად მონაწილეობს მოსწავლეთა რესპუბლიკურ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში, რასაც განაპირობებს კვალიფიციური და შემოქმედი პედაგოგიური კოლექტივი. მოსწავლეთა სულიერ აღზრდაზე კი ზრუნავს სამი მოძღვარი – **მამა გიორგი (წერეთელი), მამა გიორგი (გოგოლაშვილი)** და **მამა თეიმურაზი (რუხაძე).**

საოცარი სიმყუდროვე სუფევს სკოლაში, დაირეკა დედო ზარი, Iბ კლასში (მასწავლებელი – **ნინო კვახაჯელიძე**) ვესწრებით გაკვეთილს, რომლის თემაა იაკობ გოგებაშვილის „მუქთამჭამელა“. მასწავლებელს თვალსაჩინოება მრავალფეროვნად და საინტერესოდ მოუმზადებია, მოსწავლეები გამართულად, აზრიანად პასუხობენ თითოეულ შეკითხვას. ახასიათებენ უსაქმურობასა და მუქთამჭამებლობას, თვალსაჩინოებით ქმნიან პორტრეტებს უსაქმური თუ შრომისმოყვარე პიროვნებისას. ერთმანეთს პასუხის გაცემას არ აცლიან გიორგი, ილია, თამარი, მარიამი, სალომე, ნათია...

ნინო მასწავლებელი დინჯად, ლოგიკური მსჯელობით აღწევს მიზანს და უხსნის ბავშვებს, რომ ადამიანი შრომის გარეშე, სხვისი იმედით ვერასოდეს მიაღწევს ცხოვრების მიზანს. აქვე იშველიებს გოგებაშვილის ფრაზას – *„მთავარი ძალა, რაც გამარჯვებას ანიჭებს ერს საარსებო ბრძოლაში, არის ცოდნა და განათლება“*, ბრძოლაში კი უქნარა ადამიანი ვერაფერს გახდება.

თემატურად გაკვეთილი ძალიან დატვირთული იყო, ეფექტურად ჩატარდა ინდივიდუალური და ჯგუფური სამუშაოები, გამოყენებულ იქნა სასწავლო მეთოდის მრავალფეროვნება: როლების მიხედვით თამაში, „გონებრივი იერიში“. მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში. გაკვეთილი დაგეგმილი იყო საფუძვლიანად. მოსწავლეებს ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალება ჰქონდათ.

შემდეგი გაკვეთილი Iა კლასში ამ ღონისძიების ავტორმა **ნანა ბურძენიძემ** ჩაატარა.

გაკვეთილის თემა – „ანიდან ჰაემდე“.

ნანა მასწავლებელს საოცარი არტისტიზმით, უშუალოდ და ლაღად მიჰყავს გაკვეთილი. უამრავი თვალსაჩინოება, დიდაქტიკური მასალა, ტექნიკური საშუალება და სრული ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში გაკვეთილს საინტერესოსა და დატვირთულს ხდის.

ამ პატარებმა ქართული ანბანი ხომ ზღაპრად შეისწავლეს, სადაც მეგობრობამ, სიკეთემ და ერთობამ გაიმარჯვა. პირველკლასელები არც ბასტიმ და ბუბუმ დაივიწყეს, ყველა ასო-ბგერის შესწავლის დროს სტუმრობდნენ და ახლაც ასო „ჰაეთი“ გაამხიარულეს. ამავე ასომ დააგვირგვინა კოლაჟი „ანბანთქება“, რომელსაც პატარები, თავიანთი პატარა ხელებით, მთელი ნლის განმავლობაში ქმნიდნენ და აწყობდნენ.

გაკვეთილს ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ჩვენი ქალაქის და საჩხერის „წმიდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის“ დაწყებითი კლასის მასწავლებლები. დასასრულ, ორივე პედაგოგის მიერ ჩატარებული გაკვეთილები შეაფასა „დედაენის“ ავტორმა ნათელა მაღლაკელიძემ. მან აღნიშნა, რომ გოგებაშვილის „დედა ენა“ შეუცვლელი სახელმძღვანელოა პატარა შეგირდებისათვის, რაც კარგად აქვს გააზრებული ორივე მასწავლებელს. მადლობა გადაუხადა მათ ჩატარებული გაკვეთილებისათვის, რომლებიც მართლაც მდიდარი იყო თვალსაჩინოებებით, საინტერესო აქტივობებით, თანამედროვე სწავლების მეთოდებით, რაც უდავოდ პედაგოგთა პროფესიონალიზმის შედეგია.

გაკვეთილის ბოლოს პატარებმა ლექსებით შეასხეს ხოტბა ქართულ ანბანს და ქედი მოიხარეს დედა ენისა და მისი შემოქმედის, იაკობ გოგებაშვილის წინაშე. უღრმესი მადლობა ქალბატონ ნათელა მაღლაკელიძეს ჩამობრძანებისათვის და ჩვენი პატარების გახარებისათვის; სკოლის დირექტორს, ქალბატონ **ნანული წერეთელს** იმ ატმოსფეროსთვის, რაც შექმნილია ამ სასწავლებელში და სასულიერო პირებს პატარების ზნეობრივი აღზრდის საქმეში შეტანილი წვლილისათვის.

გისურვებთ მომავალ წარმატებებს!

ციური ცოცხალაშვილი
ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი განათლების დარგში

წარდგენილია ეროვნულ პრემიაზე

ჩვენებური ჩვენებურებზე

ცნობილი ქართველი მათემატიკოსის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო (ემერიტუს) პროფესორის **თამაზ ვაშაყმაძის** შრომათა ციკლი თსუ-მ საქართველოს 2013 წლის ეროვნულ პრემიაზე წარადგინა. არაერთ მხარდაჭერას კიდევ ერთი დაემატა, მოსკოვიდან მოსული, სადაც საოცრად შთამბეჭდავ სიტრიქონებს ვხვდებით:

„დიდმა ფრანგმა ანრი პუანკარემ დასვა პრობლემა, რომელიც საუკუნეზე მეტია, სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო გონებებს აღელვებს. თამაშზ ვაშაყმაძის წვლილი პრობლემის გადაწყვეტაში ერთობ მნიშვნელოვანი მეჩვენება. მან შეძლო გადასვლის კანონზომიერებათა შესახებ თეორემების დამტკიცება, რიცხვითი მოდელირების მეთოდების განვითარება, რაც განსაკუთრებით ფასეულია არაწრფივი ამოცანების ამოხსნისას... მისი შედეგები, ჩემი თვალსაზრისით, ახალ პერსპექტივებს გადაშლის კვანტური ელექტროდინამიკისა და კვანტირებული ველების თეორიის ამოცანათა გადაწყვეტის დროს... ციკლის ავტორისაგან განვითარებული ხერხების გამოყენებისას დრეკად და პლასტიკურ გარემოთა თეორიაში შესაძლო გახდა რელეი-ლემბის ტიპის ახალი ტალღის წინასწარმატყველება, რომელიც ვრცელდება ორი გარემოს გამყოფ ზედაპირზე, ესე იგი ზედაპირული ტალღის ხასიათისაა... მე ვერ მოვიყვანე თამაზ ვაშაყმაძის ყველა მნიშვნელოვანი მიღწევა, თუმცა უკვე აღნიშნულიც მაძლევს უფლებას, რომ ის მსოფლიოს წამყვან ფიზიკოს-თეორეტიკოსთა რიგში მოვიაზრო. თამამად შემიძლია თქმა, რომ თამაზ ვაშაყმაძემ „ხელთუქმნელი ძეგლი“ აიგო და რომ მისი სახელი სამუდამოდ დარჩება მეცნიერებაში“.

დასკვნა კი ასეთია: *„ბუნებრივია, პროფესორ თამაზ ვაშაყმაძის შრომები და მიღწევები უმაღლეს შეფასებას იმსახურებს და საქართველოს ეროვნული პრემიით აღნიშვნის ღირსია“.*

დავფიქრდეთ: როგორი შთაბეჭდილება უნდა დარჩენოდა მხარდაჭერის დამწერს მათემატიკოს თამაზ ვაშაყმაძის გამოკვლევებისაგან, რომ მსოფლიოს ყველაზე მოწინავე ფიზიკოს-თეორეტიკოსთა რიგში „გადაეყვანა“... ამასობაში კი დროა, დამწერის ვინაობა გავამხილოთ – ეს გახლავთ გამოჩენილი მოსკოველი ფიზიკოს-თეორეტიკოსი **ანრი რუხაძე**, ქართველი კაცი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიებისა და ლომონოსოვის სახელობის პრემიის ლაურეატი; და კიდევ: რამდენადაც მე ვიცი, ბატონი ანრი ქათინაურებს იოლად როდი არიგებს...

თამაზ ეგანოიძე
მათემატიკის დოქტორი

ინფორმაცია

პოეზიის შთამბეჭდავი საღამო

„მეც პოეზია მინდა ვზიდო მზისკენ ლოცვებად“... – ეს გულწრფელი სიტყვები ქართველ პოეტს – რატი ამაღლობელს ეკუთვნის და იგი ჭეშმარიტად გამოხატავს პოეტის სულისკვეთებას... იგი მისი სულის აღსარებაა...

17 მაისს შედგა დაუვიწყარი შეხვედრა პოეტ **რატი ამაღლობელთან**, რომელსაც ხალხმრავალი აუდიტორია დახვდა თბილისის დამოუკიდებელ სასწავლო უნივერსიტეტსა და ტურიზმის აკადემიაში. სტუდენტებთან ერთად აქ იყვნენ პროფესორ-მასწავლებლები, მოწვეული სტუმრები... დარბაზმა წუთიერი დუმილით პატივი სცა ავღანეთში გმირულად დაღუპული ქართველი მეომრებისა და სასიქადულო მსახიობის – ოთარ მეღვინეთუხუცესის ხსოვნას.

საღამო დაიწყო... იგი შესავალი სიტყვით გახსნა პროფესორმა **ლია ხმალაძემ**, რომელიც გულთბილად მიესალმა სტუმარს. სიტყვებით გამოვიდნენ პროფესორები: **იზოლდა ქაფიაშვილი, ციცინო ბუკია**, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, გურამ რჩეულიშვილის სახელობის პრემიისა და დავით აღმაშენებლის სახელობის პრიზის მფლობელი. საღამოს მომხიბლავი ელფერი შესძინა მსახიობ **ოთარ ანდღულაძის** მიერ წაკითხულმა ლექსებმა, ასევე შთამბეჭდავი გახლდათ სტუდენტების: **ბექა ტრაპაიძის, ტატო აბრამიშვილის, ქრისტინე მოდებაძის**, **თეა ნადირაშვილის, რუთი ბარისაშვილის, მეგი კვესიეშვილისა** და სხვათა მიერ რატი ამაღლობელის პოეტური სტრიქონების მხატვრული კითხვა კლასიკური მუსიკის ფონზე. მსმენელები განსაკუთრებული ინტერესით შეხვდნენ პოეტის გამოსვლას, მან სიღრმისეული წვდომით ისაუბრა პოეზიის დანიშნულებაზე, შემდეგ კი მომხიბლავად წაიკითხა თავისი ლექსები. საღამოზე დიდხანს იღვრებოდა სინათლითა და სინატიფით აღსავსე სტრიქონები, ყველამ კიდევ ერთხელ შეიგრძნო პოეზიის მადლი, ეს ჭეშმარიტად ქართული სიტყვის ზეიმი გახლდათ. დასასრულს, პროფესორმა **ამირან მექვაბიშვილმა** გულთბილი მადლობა გადაუხადა სტუმარს მობრძანებისთვის და საჩუქრად გადასცა „ვეფხისტყაოსანი“. პოეტმა ავტოგრაფი უსახსოვრა დარბაზში მყოფთ.

ლია ხმალაძე
საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ინფორმაცია

უცხოელ მოხალისე მასწავლებლებს სერტიფიკატები გადაეცათ

პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ მონაწილე უცხოელ მოხალისე მასწავლებლებს, რომელთაც წარმატებით დაასრულეს 2012-2013 სასწავლო წელი, სერტიფიკატები გადაეცათ. მადლობის სიგელები და მედლები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **გიორგი მარგველაშვილმა** ორ საუკეთესო უცხოელ პედაგოგს გადასცა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ როგორც ინგლისურენოვანი, ასევე ჩინურენოვანი მოხალისეები. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

პროგრამა „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ 2010 წლიდან ხორციელდება. პროგრამის ფარგლებში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოხალისე მასწავლებლები ჩამოდიან და საქართველოს საჯარო სკოლებში, ადგილობრივ მასწავლებლებთან ერთად, ინგლისურ და ჩინურ ენებს ასწავლიან.

ამჟამად, პროგრამაში 152 ინგლისური ენის უცხოელი მოხალისე მასწავლებელი და 10 ჩინელი მოხალისე მასწავლებელია ჩართული. ზაფხულის განმავლობაში, ინგლისურენოვანი მოხალისე მასწავლებლების მცირე საოჯახო ტიპის დაწესებულებებში მივლინება იგეგმება.

სპორტის სასახლეში საკალათბურთო ტურნირის ფინალური შეხვედრა გაიმართა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტის ფარგლებში, რომელიც მოზარდებში სპორტის პოპულარიზაციას ითვალისწინებს, თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლისა და ქართველ იუნკერთა სახელობის 52-ე საჯარო სკოლის გუნდებს შორის საკალათბურთო ტურნირის ფინალური შეხვედრა გაიმართა.

სასკოლო ჩემპიონატი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და კალათბურთის ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდა. ჩემპიონატის გამარჯვებული თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის გუნდი გახდა.

ტურნირში ჩართული იყვნენ თბილისის 24-ე საჯარო სკოლის, თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის, სკოლა „ლოგოსის“, 199-ე საჯარო სკოლა „კომაროვის“, ქართველ იუნკერთა სახელობის 52-ე საჯარო სკოლის, თბილისის 53-ე საჯარო სკოლის, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ და თბილისის 23-ე საჯარო სკოლის ნაკრები გუნდები.

2011 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, ფიზკულტურის გაკვეთილების სპორტის გაკვეთილებით ჩანაცვლება განხორციელდა, შეიქმნა შესაბამისი სასწავლო პროგრამა, გადამზადდნენ პედაგოგები, კეთილმოეწყო ინფრასტრუქტურა, ამით პროცესი მოსწავლეებისთვის უფრო საინტერესო და აზარტული გახდა.

დასრულდა ტურნირი მინი-ფეხბურთში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სტუდენტური თვითმმართველობის ეგიდით, სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის **ზაურ ფხალაძისა** და ცენტრის თანამშრომლის, საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელის, ტურნირის მთავარი მსაჯის **ვახტანგ ბაქანიძის** მხარდაჭერითა და თანადგომით, ჩატარდა ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი მედიკოსის, თსსუ სამედიცინო რეაბილიტაციის, კინეზოთერაპიისა და სპორტული მედიცინის ღვაწლმოსილი სპეციალისტის, პროფესორ **რომანოზ სვანიშვილის** დაბადებიდან 85 წლის იუბილეს.

ტურნირი თითქმის თვენახევარი მიმდინარეობდა – დაიწყო მარტის ბოლოს. შერჩეული 20 გუნდი 4 ქვეჯგუფად დაიყო, 5-5 გუნდი მეოთხედფინალში გავიდა. ნახევარფინალში 4-მა საუკეთესო გუნდმა იასპარეზა: „კატენაჩო“-„მორგი“ (85:3); „ნიგერია“-„თბილისი-სიტი“ (2:2); პენალტებით მოიგო „ნიგერიამ“ 4:3-ზე. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში „თბილისი-სიტი“ „მორგს“ დაუპირისპირდა და 3:1 მოიგო.

ფინალი – „ნიგერია“-„კატენაჩო“ „ნიგერიის“ ნაკრების დიდი უპირატესობით წარიმართა და მათი გამარჯვებით – 5:1 დასრულდა. ფინალს დაესწრნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები. ტურნირის მონაწილე საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით, სიგელებით, მედლებით.

პროფესორ რომანოზ სვანიშვილმა სტუდენტი ფეხბურთელები დაჯილდოვა მის მიერ გამოცემული წიგნებით – „ფიზიკური დატვირთვა“ და „ორგანიზმის გაკაჟება“. ტურნირმა გამოავლინა სხვადასხვა ნომინაციაში გამორჩეული ფეხბურთელები: **კრისტოფერ ეზე, კლიფორდ ინჯა, ვიტეს ამატუ** (ნიგერია), **თენგიზ სორდია, გიორგი ჭუმბურიძე, გიორგი პაიჭაძე, მირიან ჯიქია, გიორგი საღინაძე**;. გამარჯვებულები დაჯილდოვეს: **რომანოზ სვანიშვილმა, პრორექტორმა გია აბესაძემ, ზაურ ფხალაძემ, ვახტანგ ბაქანიძემ.**

საუბრები ლიტერატურაზე

მე, თოვლი და ორჰან ფამუქი

დასასრული

ვუძღვნი დედის –
ზაირა ჩხენკელი-ბაგრატიონის ხსოვნას

ფამუქი გვეუბნება: *„ამ ქვეყანაში ადამიანი მშვიდად ვერ შეასრულებს ღვთისმსახურებას, თუ საერო საქმეების გამკეთებელი, ვაჭარი და პოლიტიკოსი შრომისმოყვარე ურწმუნოების იმედი არ ექნება.“* დიახაც, თუ მთელი ქვეყანა ღვთისმსახურებაზე გადავა, ვინ შეასრულებს საერო საქმეს? ვინ ივაჭრებს, ვინ მართავს სახელმწიფოს, ვინ იმუშავებს ბოლოს და ბოლოს?

მარქსისტული ტერმინოლოგიით რომ ვისარგებლოთ (რაც შემომრჩა სტუდენტური დიამატიდან), ურწმუნოები აშენებენ ცხოვრების ბაზისს, მორწმუნეების (და არა მხოლოდ მათი) ვალდებულებაა, ამ ბაზისზე იდეოლოგიური ზედნაშენი სწორად დაადუღაბონ! მაგრამ რა არის საინტერესო, იცით, ეს ეკონომიკური ბაზისი ძალიან დიდ რყევებს და კატაკლიზმებს უძლებს, არა, ზოგან და ზოგჯერ შეიძლება ბზარი მისცეს, მაგრამ ეს ბზარი იოლად შეკეთდება. აი, იდეოლოგიურ ზედნაშენზე კი რა მოგახსენოთ... ის, რომ ქრიასტიანობა ერთი რელიგია არაა და ერთმანეთი შეაჩვენეს მხოლოდ იმისთვის, რომ გავლენის სფეროები ვერ გადაინაწილეს, თავის დროზე, ამაზე უფრო ხატოვან მაგალითად რა მოვიყვანო?

„თუ ადამიანებს არ ენდობი, ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწევ.“

„ადამიანი ყველაზე კარგად იმას იცნობს, ვინც უყვარს.“

„პატარა ბავშვივით სულ ის მინდოდა, ჩემი ქვეყანა აყვავებულიყო, ადამიანები უფრო თავისუფლები და თანამედროვეები ყოფილიყვნენ, მაგრამ ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ჩვენი რელიგია ამას ეწინააღმდეგებოდა.“

ამ სიტყვებით ავტორმა ჩემი სულის ტკივილი და ბორგვა გადმოსცა, სიტყვა ალაჰის ნაცვლად უფალი წაიკითხეთ, არ მინდა ციტატა შევცვალო, მით უმეტეს, რომ ამით არსი არ იცვლება – *„მე ისეთი ალაჰი მინდა, რომელიც არ მომთხოვს, რომ მის წინაშე წარსადგომად ფეხზე გავიხადო, ვინმეს ხელზე ვემთხვიო და მუხლი მოვიდრიკო. ჩემს მარტოობას რომ გაიგებს, ისეთი ალაჰი მინდა!“* ყველაზე დიდი პრობლემა, პირადად ჩემთვის (და ვფიქრობ, არა მხოლოდ ჩემთვის), სწორედ ეს არის. მე არავის არ მინდა ვემთხვიო ხელზე, მუხლი მოვიდრიკო და ათასი სხვა, რაციონალურ აზრს მოკლებული, დოგმატი შევასრულო და, უმეტეს წილად, უამრავი მაყურებლის წინაშე, რომლებიც საკუთარ რიგს ელოდებიან ამბორისთვის!... ჩემს მარტოობას რომ გაიგებს, ისეთი უფალი მინდა! მხოლოდ მე და ის! და არანაირი მოწმეები! და მე არ მჭირდება უფლის რწმენის დემონსტრირებით საზოგადოებაში, გარკვეულ წრეებში შესვლა, მე მინდა უფალთან ადამიანური, პიროვნული ურთიერთობები მქონდეს.

სამწუხაროდ, იმათ, ვინც ასე ფიქრობს და ეს რელიგიური პოზიცია აქვთ, ზემოდან და აგრესიულადაც კი უყურებენ ისინი, ვინც თავის თავს ჭეშმარიტ მორწმუნეებად მიიჩნევენ და არ ითვალისწინებენ და იზიარებენ „თოვლის“ ახალგაზრდა გმირის სიტყვებს – *„შენ ათეისტად ვერ ჩაითვლები, რადგან შენ კარგი ადამიანი ხარ“.*

„თოვლი ჩემში სიცოცხლის სილამაზისა და წარმავლობის განცდას იწვევსო. მტრობის მიუხედავად, ადამიანები ძირითადად ერთმანეთს ჰგვანანო... სამყარო და დრო უკიდეგანოა, ადამიანის სამყარო კი ვიწროო. ამის გამო, როცა თოვს, ადამიანები ერთმანეთს ეკედლებიანო. თოვლი თითქოს მტრობას, სიხარბეს, ბრაზს ფარავს და ადამიანებს აახლოებსო...“

„ამ მოჯადოებულ, თითქმის წმინდა სიჩუმეში უსაშველოდ ბარდნიდა და კას მხოლოდ საკუთარი ფეხის ხმა და სუნთქვა ესმოდა. ძაღლებიც არ ყეფდნენ. თითქოს სამყაროს დასასრული დამდგარიყო, ყველასა და ყველაფრის ყურადღება თოვლს მიეპყრო. ლამპიონის მკრთალ შუქზე კამ ისიც შეამჩნია, ზოგი ფანტელი დაბლა კი არ ეშვებოდა, პირიქით, სიბნელეში მაღლა მიიწევდა.“

„ეს ნაცრისფერი პალტო, რომელსაც არასდროს იხდიდა.“

ეს ნაცრისფერი პალტო... ნაცრისფერი პალტო... პალტო...

ჩემდაუნებურად გოგოლიც გამახსენდა, რომლის გმირისათვის ახალი შინელი ყველაფერი იყო... ყველაფრის სიმბოლო იყო... და ჩეხოვიც მაგონდება და მისი ადამიანი ფუტლიარი.

რაღაცით კა ამ ორ გმირს ჰგავს.

განსაკუთრებით მისი დამოკიდებულება ამ ნაცრისფერი პალტოსადმი. ეს პალტო მისთვის იყო მცველიც, მზრუნველიც, სტატუსის მაჩვენებელიც, მოკლედ, ყველაფერი იყო...

და, რაც მთავარია, ის სულ მუდამ ამ პალტოშია, როგორც ფუტლიარში და ის მოკვდა კიდეც ამ პალტოში...

ანუ იცხოვრა და მოკვდა თავის ფუტლიარში.

„ცხოვრება, გარდა სიყვარულისა და ბედნიერებისა, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უაზრო, რიგითი მოვლენების ჯაჭვი იყო მხოლოდ“, ანუ ცხოვრებას აზრს მხოლოდ სიყვარული და ამ სიყვარულით გამოწვეული ბედნიერება აძლევს. უსიყვარულო და უბედური ადამიანისთვის მართლაც რიგითი მოვლენების ჯაჭვია ცხოვრება.

კაც იმიტომ დარჩა თავის პალტოში, რომ სიყვარული და ბედნიერება მის ცხოვრებაში მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო, მთელი ცხოვრება კი, რიგითი მოვლენების ჯაჭვი იყო. მხოლოდ ეს პალტო აკავშირებდა ბედნიერებასთან. ამ მხრივ, ნამდვილად ბედისაგან დაჩაგრული ადამიანი იყო, თუმცა ფამუქი თავის სიტყვებში, აშკარად, ბედით ჩაგრულებს არ გულისხმობდა.

„მარტო ჩაგრულობა არ არის საკმარისი, მართალიც უნდა იყო. ჩაგრულთა უმრავლესობა აბსურდულამდე მტყუანია.“ – მეტად საგულისხმო სიტყვებია. ჩაგრულის მანტია, რატომღაც, ამ ბოლო დროს, წმინდანის ნიმბის ფუნქციასაც ითავსებს და ნაკლებად ჩანს ვინმე, ვინც იკითხავს, რამდენად მართალია ეს ჩაგრული? მაგრამ, სამწუხაროდ, სიმართლის დადგენა საკმაოდ რთულია... ან, იქნებ, სულაც არ არის რთული, უბრალოდ ამისთვის ნებაა საჭირო, ნება მისი, ვისაც ევალება სიმართლის დადგენა.

მაგრამ, სამწუხაროდ, მათი უმეტესობა, ვისაც ევალება სიმართლის დადგენა, აბსურდულამდე გულგრილია სიმართლისადმი.

ძალიან საინტერესო აზრი ამოვიკითხე „თოვლში“ – ***„გულგრილობა ადამიანს თავისუფლების შეგრძნებას ანიჭებდა“ ...*** ჰმ! არასდროს ამ კონტექსტში არ განმიხილავს თავისუფლება! თავისუფლება ხომ თავის უფლებაა! ანუ ადამიანი არის საკუთარი თავის უფალი და აქვს უფლება, თავად განაგოს თავისი ცხოვრება, მაგრამ ფამუქმა დამაფიქრა...

გულგრილი ადამიანი არის ის, ვისაც სხვებთან არანაირი ინტერესი არ აკავშირებს, ანუ კავშირები ან ძალიან სუსტია, ან არ არის... და თუ ადამიანი არავისთან და არაფერთან არ არის რაღაც კავშირებით მიმაგრებული, ის ნამდვილად თავისუფალია..(?!)

მაგრამ მინდა მე ასეთი თავისუფლება? კავშირების გარეშე?

გულგრილობით მიღწეული თავისუფლება!

არა, არ მინდა!

მე მინდა, ადამიანის გულები გრილი კი არა, თბილი და ცხელი იყოს!

მე მინდა, ადამიანები ერთმანეთთან მეტად იყვნენ დაკავშირებული. აქ თავისთავად გახსენდება ნოდარ დუმბაძისეული ერთმანეთის გვერდში დგომა, რომ ადამიანების სულები არ დაობლდნენ, როცა ვიღაც გამოგვაკლდება ერთად დგომის ჯაჭვში და მხოლოდ ასე გადავა კაცობრიობა მარადისობაში და არა გულგრილობით სავსე თავისუფლებით!

საბედნიეროდ, საზოგადოება არ არის ერთხაზოვანი და მას, გულგრილობის გარდა, სიკეთის კეთების დიდი სურვილიც აქვს, თუმცა ჩვენ, ადამიანებს, ფენომენალური ნიჭი გვაქვს – ყველაფერი პრობლემად ვაქციოთ.

საყოველთაო პრობლემა, რომელიც კაცობრიობას დასაბამიდან მოსდევს და რომელიც ყველაზე დასამახსოვრებლად მაინც ლევ ტოლსტოიმ თქვა – *„Дорогая вязадя вымощена благ, м, я намерен, ям, “*, ფამუქთან პერსონიფიცირებულია, პირდაპირ კონკრეტულ ადამიანზეა მიმართული – *„ყველა კარგი ადამიანის მსგავსად, ბოროტებას ისე აკეთებ, რომ აზრზეც არა ხარ!“*

რატომ გვემართება ეს ადამიანებს, რატომ გვგონია, რომ ვაკეთებთ სიკეთეს, სინამდვილეში კი ბოროტება გამოგვდის და კიდევ ერთ ქვას ვდებთ ჯოჯოხეთისაკენ მიმავალ ქვაფენილზე? ნუთუ ვერ უნდა ვისწავლოთ სიკეთისა და ბოროტების გარჩევა?

პრინციპში, ეს მართლაც რთულია; თუ გავიხსენებთ ბულგაკოვის ვოლანდის სიტყვებს – *„ჩრდილი ყველა საგანს აქვს – ცოცხალსაც და არაცოცხალსაც“*, ანუ ზოგადად ცხოვრება ბოროტების გარეშე იგივეა, რაც დედამიწა ცოცხალი და არაცოცხალი საგნების გარეშე, ანუ – უჩრდილოდ...

ამიტომ, როცა რამეს ვაკეთებთ, იმაზე მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ ჩრდილი, ანუ ბოროტება, რაც შეიძლება მოკლე და პატარა იყოს.

გული დამწვა ნახევარ გვერდზე აღწერილმა ქართველი წყვილის ყოფამ! რამდენჯერმე წავიკითხე ეს ადგილი. მინდა, ორჰან ფამუქი ტენდენციურობაში დავადანაშაულო, ქსენოფობია დავაბრალო, მაგრამ იმდენად მართალია, რასაც ის წერს, იმდენად უბრალოდ, ჩვეულებრივად, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე წერს, რომ ვერაფერი დავაბრალე! უბრალოდ, ძალიან დამეწვა გული...

რა ყოფით ნაშოვნი ფულით აპირებენ ისინი საქართველოში დაბრუნებას, სახლის ყიდვას და სიკვდილამდე უმუშევრად და უზრუნველად ცხოვრებას!!!

საოცარია, ქართველი ადამიანი თურქეთში მიდის და ასრულებს იმ სამუშაოს, რომელსაც საქართველოში არ გააკეთებს! და, რაც მთავარია, შემდეგ აქ, საქართველოში სიცოცხლის ბოლომდე არ აპირებს მუშაობას!

ამ ნახევარი გვერდის წაკითხვის შემდეგ დეპრესიაში ჩავვარდი და უცებ ვკითხულობ – ***„დეპრესიის შავი ფრინველი დღითი დღე ფრთიანდება ჩემს სულში“.*** ასე მხოლოდ აზიელს შეეძლო ეთქვა და ამ ლამაზმა ფრაზამ ჩემს გონებაში დეპრესიის ნაწილი გამოთიშა.

ფამუქის „თოვლის“ მთავარი გმირი პოეტია, ლექსის მუზა ყოველთვის რაღაც საოცრად არაპოეტურ სიტუაციებში აკითხავს ხოლმე და ისიც ეგრევე იწყებს წერას (მნიშვნელოვანია, რომ პასტერნაკის „ექიმი ჟივაგოსგან“ განსხვავებით, ამ გმირის არც ერთი ლექსი არ არის რომანში, ლექსების რვეული უბრალოდ დაიკარგა) და აი, ერთ-ერთი მისი ***„ლექსი მნიშვნელოვანწილად იმ საკითხს ეძღვნება, რამდენად შეეძლო პოეტს გონების ერთი ნაწილი გამოეთიშა, როცა ქვეყანაზე ბოროტება ზეიმობდა. მხოლოდ ის პოეტი, რომელიც ამას მოახერხებდა, შეძლებდა აწმყოს ჭეშმარიტად განცდას“.***

ამ სიტყვების წაკითხვისას მივაწერე – ვითომ?

რატომღაც არ მომეწონა იმის მტკიცება, თუ პოეტი გამოეთიშებოდა რეალობას, მაშინ ის შეძლებდა აწმყოს ჭეშმარიტ განცდას.

მაგრამ, როგორ? რამდენად შესაძლებელია ეს?

და აქ, რატომღაც, მაიაკოვსკი გამახსენდა – როცა მან არ (ვერ) გამოთიშა გონება, როცა ქვეყანაზე ბოროტება ზეიმობდა, ვერ შეძლო აწმყოს ჭეშმარიტად განცდა და მაიაკოვსკი, როგორც პოეტი, მოკვდა... თვითმკვლელობამდე გაცილებით ადრე...

ნამდვილად არ მინდა იმის მტკიცება, რომ „თოვლის“ გმირის სიტყვები აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, მაგრამ რაღაც არის მათში...

„ენციკლოპედიაში ვნახე, სიტყვა „ათეისტი“ ბერძნული „ატჰოსიდან“ მომდინარეობს, რომლის მნიშვნელობაც ურწმუნო კი არა, ღმერთისგან მიტოვებული, ეული ყოფილა“ – ალბათ ამიტომ, ჩემი თავისთვის არასდროს მიწოდებია ათეისტი. მე ხშირად ვამბობ, რომ ვარ მატერიალისტი და ამიტომ ვერასოდეს ვიწამებ იმას, რისი ახსნაც არ შემიძლია, ან ვინმემ უნდა ამიხსნას და დამაჯეროს. ბევრ რამეს თავად ვხსნი, მატერიალურზე დაყრდნობით... მატერიალისტობა და ათეისტობა ტოლფასი არ არის, ალბათ, სწორედ ამიტომ, არასდროს მიგრძვნია თავი ღმერთისაგან მიტოვებულად.

„ათეისტი რომ იყო, ჯერ ევროპელი უნდა გახდე“ – ამბობს „თოვლის“ გმირი, ახალგაზრდა ყმაწვილი. სწორედ ამ კატეგორიულობაშია აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეურიგებლობა. ახალგაზრდა ისლამისტი თვლის, რომ ევროპელი ადამიანი ღმერთისგან მიტოვებულია, უღმერთოა და მორწმუნესთვის უღმერთო ევროპელი ვერასდროს იქნება მისაბაძი მაგალითი. სამწუხაროდ, იგივე ხედვა ჩვენს ახალგაზრდებშიც წარმოჩნდება ხოლმე – ვინც არ არის მართლმადიდებელი, ის უღმერთოა, urწმუნო, ღმერთისაგან მიტოვებული და ჩვენ მათთან არაფერი საერთო არ გვაქვს. ეს ხედვა დამღუპველია, როგორც ცალკე აღებული ინდივიდისთვის, ასევე იმ საზოგადოებისთვის, რომელიც ამ ხედვას იზიარებს და მის კულტივირებას ახდენს.

რატომღაც გული დამწყდა, როცა რომანის კითხვისას აღმოვაჩენე, რომ ქვეყანა, რომელიც ათათურქის დროს გახდა სეკულატურული სახელმწიფო, სადაც ქალებმა უარი თქვეს ჩადრზე და თავსაბურზე, როგორც თავიანთი ღირსების შემლახავ ატრიბუტზე, ქალი აღიარებულ იქნა მამაკაცის თანასწორად და ქვეყანაში, სადაც პრემიერ-მინისტრი ქ ა ლ ი მართავდა გარკვეული დროით სახელმწიფოს, მეოცე საუკუნის მიწურულს ისევ რელიგიურ-ისლამისტურ დოგმებს უბრუნდება, გოგონები თავზე იფარებენ თავსაბურს და ამას თავიანთი ღირსების აღიარებად თვლიან, რადგან ამას ითხოვს რელიგია.

ჩემი აზრით (მე ხომ ქართველი ვარ, მაშასადამე ვარ ევროპელი), ეს აშკარად არის ნაბიჯი უკან.

გული დამწყდა თურქეთის გამო და შიში შემეპარა საქართველოს გამო, რამეთუ მართლმადიდებელი ეკლესიაც საკმაოდ მკაცრად ითხოვს გარეგანი დოგმატების შესრულებას, რაც ზოგს ჭეშმარიტი რწმენის გამოხატულებად მიაჩნია.

...ვიღაცას უკვირს ...ვიღაცას ღირსება აქვს შელახული, რომ თურმე უსმენენ!

დამისახელეთ ერთი ქვეყანა, ერთი ნორმალური მმართველობა, სადაც არ უსმენენ!

ეს ხომ ობიექტური ჭეშმარიტებაა!

ფლობ ინფორმაციას, ფლობ მსოფლიოს.

უსმენენ ყველას, ყველგან და ყოველთვის! რა იცი, რაში გამოადგება მთავრობას, ქვეყანას მოსმენილი, გაგონილი, ჩაწერილი და შენახული?!

სწორედ ასეთმა მოსმენილმა, ჩაწერილმა და შენახულმა ინფორმაციამ (სრულიად არაპოლიტიკურმა) მოახდინა ფამუქის „თოვლში“ მოქმედების შემობრუნება, კონფლიქტის გადაჭრა და იმ ფინალამდე მისვლა, რითაც მთავრდება რომანი.

და მე არ მგონია, რომ ეს მოსმენების ფაქტი მხოლოდ ფამუქის ლიტერატურული ფანტაზია იყოს.

შეიძლება ვინმემ მკითხოს – თურქეთს რატომ გვადარებო?

და მე კითხვას შევუბრუნებ – ვითომ რატომ არ უნდა შევედაროთ?

ანგარიშგასაწევი ქვეყანა არ არის თუ რა?

ჩვენზე ნაკლები ისტორია აქვს თუ რა? (მხოლოდ დროს და ვადებს არ ვგულისხმობ)

ჩვენზე ნაკლებ ჭკვიანები და ნიჭიერები არიან თუ რა? (ნობელის პრემიის ლაურეატი მაინც ჰყავთ)

ნატოში არ არის თუ ჩვენზე ნაკლები ევროპაა?

ევროპაზე და ევროპელობაზე ამ რომანში

საუბრები ლიტერატურაზე

საკმაოდ მკვეთრი და მკაცრი განცხადებები კეთდება. მიუხედავად ამისა, აბსოლუტურად ნათლად ჩანს, რომ ეს არც მთავარი გმირის და არც თავად ავტორის პოზიცია არ არის.

„არც ევროპელი გავხდები და არც მათი მიმბაძველი. ჩემს ცხოვრებას გავივლი და „მე“ ვიქნები. რადგან მწამს, რომ ადამიანი ევროპელების მიბაძვისა და მათთვის დამონების გარეშეც შეიძლება იყოს ბედნიერი.“ – ამბობს ისლამისტი ტერორისტი, რომელიც რატომღაც ევროპელობას და ევროპას თუნდაც საკუთარი ბედნიერებისათვის საფრთხედ მიიჩნევს, თვლის, რომ ევროპისკენ სწრაფვა საფრთხეს უქმნის პიროვნებებს საკუთარი „მე“-ს შენარჩუნებაში, ე.ი. საფრთხეს უქმნის ერს, ქვეყანას საკუთარი სახისა და მენტალობის შენარჩუნებაში.

ევროპელობა და ზოგადად ევროპული ფასეულობები ბევრს ჩვენთანაც ქვეყნის დაქცევის, განადგურების, ეროვნულობის და ტრადიციების გაქრობის საფრთხედ მიაჩნია.

რა უშველის ამ სიტუაციას?

პასუხი ასეთი მომდის – განმანათლებლობა! ანუ უბრალოდ განათლება კი არა, ანუ ქვეყანაში ბევრი უმაღლესგანათლებული არა...

აი, სწორედ ის განმანათლებლობა, რომლითაც, თავის დროზე, ევროპამ მიიღო ის ფასეულობები და ის სახე, რითაც დღეს თავს იფასებს კაცობრიობა.

მე ცოტა სხვანაირად ვუყურებ ამ საკითხს.

მე ვამბობ, რომ ჩემი სიმდიდრე (ოჯახის გარდა) ის ხალხია, ვისაც ცხოვრებაში შევხვედრივარ. ზოგი საკმაოდ ხანმოკლე შეხვედრა და ხანმოკლე ურთიერთობაც შედის ამაში.

მიმაჩნია, რომ თუკი რამე ვიცი და შემიძლია, თუკი რამე მაქვს, ეს იმ ხალხის დამსახურებაა, ვისთან ურთიერთობის ბედნიერებაც მქონდა (სხვათა შორის, ვგულისხმობ არა მხოლოდ კეთილგანწყობილ ურთიერთობებსა და ხალხს).

და ვფიქრობ, რომ ხალხებიც, ერებიც, საზოგადოებებიც სწორედ ამ კონტექსტში უნდა განიხილავდნენ ერთმანეთთან ურთიერთობას.

ძლიერ ქვეყანას, ძლიერ მენტალობას, ძლიერ ეკონომიკას, მდიდარ ისტორიას სხვა ძლიერი ქვეყანა ვერ შთანთქავს და ვერ შეუქმნის საფრთხეს ვერც საზოგადოების მენტალობას, ვერც ქვეყნის ეკონომიკას და ვერც ერის ისტორიას.

ეს ურთიერთობები აძლიერებს და ამდიდრებს ქვეყნებს, ხოლო სხვათა მენტალობისა და კულტურის გაცნობა ნდობას ბადებს, უმეცრება კი – შიშს. სანამ არ იცი, რა აქვს იმ სხვა ქვეყანას, რისი გაკეთება ან შემოთავაზება შეუძლია, გეშინია მისი. მაგრამ თუკი იცნობ მას ახლოს, მაშინ ენდობი კიდეც, ღებულობ კიდეც და გასცემ კიდეც იმ საუკეთესოსა და უნიკალურს, რაც ერთმანეთშია.

„თოვლის“ რამდენიმე თავში აღწერილია ე.წ. გადატრიალება.

რატომ ე.წ.?

იმიტომ, რომ ამ გადატრიალებას ახდენს ხელმოცარული მსახიობი ღმერთისა და ქვეყნისაგან დავიწყებულ, თოვლით ჩაკეტილ ქალაქში.

ეს გადატრიალება იმთავითვე განწირულია!

გზები რომ გაიხსნება, ყველაფერი თავის ადგილზე დაბრუნდება.

სწორედ ეს მომენტი კიდევ უფრო ამძაფრებს და ტრაგიკულს ხდის ყოველივეს, რაც ყარსის თეატრის სცენაზე და დარბაზში ხდება.

რა ხდება – ამას მსურველი წაიკითხავს და ნახავს, მაგრამ მე როცა ეს რამდენიმე თავი ჩავიკითხე, რუსულად მივაწერე – ужас!. რატომღაც მომეჩვენა, რომ ეს სიტყვა უფრო ზუსტად, უფრო მძაფრად და მოკლედ გადმოსცემს ყოველივეს, რაც თეატრში ხდება, ვიდრე სიტყვა „საშინელება“. ამ ხუთ მარცვალში ნამდვილად იფანტება ის სიმძაფრე, რაც ამოფეთქავს სიტყვაში „ужас“!

რა ცუდია, როცა მართლდება შექსპირის სიტყვები – მთელი ცხოვრება თეატრია, ჩვენ კი მსახიობებიო. ცუდია იმიტომ, რომ ძალიან ბევრი ფიქრობს, რომ ამ ცხოვრებაში სხვისი როლი უნდა შეასრულოს უთუოდ, ითვალთმაქცოს და, რაც ყველაზე ცუდია, სხვისი ცხოვრებითაც ითამაშოს თავისი ამბიციების დასაკმაყოფილებლად. უნდა, რომ თავად იყოს მთავარი გმირი, მას არ აკმაყოფილებს ამ ცხოვრებაში სტატისტობა და მზადაა, გადააბიჯოს ცხედრებს და აკეთებს კიდეც ამას.

სწორედ ასეთია ფამუქის „თოვლის“ გმირი, ხელმოცარული რევოლუციონერი მსახიობი.

ადამიანი არ ფიქრობს იმას, რომ დიახ, ცხოვრება თეატრია და ყოველ ჩვენგანს ჩვენი როლი გვაკისრია ამ ცხოვრებაში – ზოგი ჰამლეტია, ზოგი – მეფე ლირი, ზოგიც კი – უბრალოდ სტატისტი.

და ამ სპექტაკლს, სახელწოდებით ცხოვრება, მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა თავის როლს ყველა პირნათლად ასრულებს, მსახიობი არ პოლიტიკოსობს და პოლიტიკოსი არ მსახიობობს.

გადატრიალების შემდეგ, რომანში, სადღაც ისვრიან, რაღაცას აფეთქებენ, ვიღაცებს კლავენ... მაგრამ თოვლი ისევ ისეთია – ***„ლამაზად თოვდა! შეუპოვრად, გადაულებლად და უხმოდ ბარდნიდა“.*** ჩემი ყურადღება მიიქცია იმან, რომ იმ უბედურებების და საშინელებების მიუხედავად, რაც ყარსში ხდება, ფამუქი არსად არ გვიჩვენებს სისხლს!

მისი თოვლი ყველგან თეთრია და არსად არ შეღებილა სისხლით.

სიტყვა სისხლი მხოლოდ ორ თუ სამ ადგილას გვხვდება, რომანის ბოლოსკენ.

თოვლი კი ისევ ისე უმანკოდ და უცოდველად თეთრია.

თოვლის ერთ-ერთი ფუნქცია რომანში არის ის, რომ კას ყარსში დაწერილი ლექსები თოვლის ფიფქის ქიმებზე აქვს გადანაწილებული.

იცით? ასეთი ფიფქი შარშანდელ ზამთრამდე არ მინახავს.

ჩვენთან, დასავლეთში, თუ თოვს, თოვს დიდი, მძიმე ფანტელებით, რომლებიც გაჟღენთილია წყლით და მიწაზე წვიმის დიდი წვეთებივით ეცემიან და იქვე დნებიან. დაკრისტალებული თოვლის პაწაწინა ფიფქები მხოლოდ აქ, ზღვის დონიდან 1666 მეტრზე, ყარსიდან ალბათ არც ისე შორს, ვნახე. ეს პაწაწინა კრისტალები, რომლებიც უფრო ორგანზომილებიანია, ვიდრე სამგანზომილებიანი, შეგიძლია ხელში აიღო, გულმოდგინედ დაათვალიერო ეს ექვსქიმიანი ფიფქი, ის მაინც არ დადნება, გარეთ ხომ –15 გრადუსია.

სწორედ ასეთ ფიფქზე აქვს კას განლაგებული თავისი ლექსები.

ფამუქი თვლის, რომ ***„ყველა ადამიანს უნდა ჰქონოდა ასეთი ფიფქი, რომელიც მისი ცხოვრების ერთგვარი შინაგანი რუკა იქნებოდა“.***

ალბათ, იდეალურია ადამიანი, რომლის ცხოვრების შინაგანი რუკა ისეთი სწორი, სიმეტრიული, უნაკლო და ნაზია, როგორც ექვსკუთხაქიმებიანი კრისტალიზებული თოვლის ფიფქი...

მხოლოდ ერთია ცუდი... ეს შინაგანი რუკა ძალიან ხანმოკლე და დღეენაკლული აღმოჩნდება... თუმცა, ცხოვრებაც ხომ წარმავალია...

რა ძნელია მშობლისთვის, როცა პირმშოს ხედავს პატიმრად, თავისუფლებაშეზღუდულ ადამიანად...

ერთი ჩემი უმცროსი მეგობარი ხშირად ამბობს, მამაკაცები სხვანაირად აზროვნებენ და გაცილებით იოლად უმკლავდებიან პრობლემებსო...

ხშირად ვკამათობთ... მაგრამ ზოგჯერ დათანხმება მიხდება...

აი, რა ამოვიკითხე „თოვლში“ – ***„შვილის პატიმრობით გამოწვეული სირცხვილი რომ გადაეტანა, თურგუთ ბეი ცდილობდა ციხისთვის ისე შეეხედა, როგორც სკოლა-ინტერნატისთვის, რომელშიც ყველა ღირსეულ მოქალაქეს უსწავლია“.***

ღირსეული გამოსავალია რთული მდგომარეობიდან.

...მე კი ვიცნობდი ქალს, რომელმაც ვერ შეხედა ციხეს, როგორც ღირსეულ მოქალაქეთა სკოლა-ინტერნატს, ვერც შვილის პატიმრობით გამოწვეული სირცხვილი გადაიტანა და... გული გაუსკდა, დაეფლითა და გაუჩერდა...

მართლაც იოლად უმკლავდებიან მამაკაცები პრობლემებს.

ფამუქის „თოვლი“ იწყება და მთავრდება ჩადრის, თავსაბურავის ტარება-არტარების და ქალების თვითმკვლელობის პრობლემით. ამ ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი გმირი ქალი ეუბნება გადატრიალების შემოქმედ ხელმოცარულ მსახიობს – „ძალიან მარტივად უყურებთ ცხოვრებას“.

მართლაც, ქალები იმით ვირთულებთ ცხოვრებას, რომ ბევრს ვფიქრობთ, მუდამ თვითანალიზით ვართ დაკავებული, მუდამ ვცდილობთ ნებისმიერი ქმედების თუ უმოქმედობის, სიტყვისა თუ მდუმარების პირველმიზეზი ვეძებოთ... ნუთუ იმიტომ, რომ ამაყები ვართ? მაგრამ სიამაყე ხომ ბოროტების სათავედ და ცოდვათა ცოდვად მოიაზრება. აკი ქადიფეც კი თვლის, რომ ***„სუიციდის მთავარი მიზეზი სიამაყეა... ქალები ნამდვილად ამ მიზეზით იკლავენ თავს... და კიდევ... ქალები მოგების იმედით იკლავენ თავს, კაცები კი მაშინ, როცა ამის იმედი ეკარგებათ“*** , ანუ დიდი ფიქრის და განსჯის შემდეგ ქალი მზადაა მოიკლას თავი, ოღონდ კი დაამტკიცოს, რომ ის მართალია, ანუ მოიგოს.

როცა ჩავიკითხე „თოვლის“ ბოლო სიტყვები, გაკვირვებული და გაოცებული დავრჩი, თითქოს რაღაც დამიმალეს, ის კი არა, მომატყუეს. უფრო რომანტიკულ ფინალს ველოდი, შეიძლება უფრო ბანალურსაც კი, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად დასრულდა. ალბათ, რაღაც გამომრჩა, რაღაც გამომეპარა, რაც მიმანიშნებდა იმაზე, რომ კა გააკეთებდა იმას, რაც გააკეთა. მაგრამ, მგონი გულდასმით წავიკითხე.

მაშინ ისმის კითხვა – რატომ?

ეჭვიანობა? შური? პირველობის სურვილი?

მაგრამ კა ხომ ჭკვიანი კაცი იყო. მან ხომ იცოდა, რომ დანაშაულს სჩადიოდა და ნამდვილად უნდა სცოდნოდა, რომ ამ დანაშაულით სამუდამოდ დაკარგავდა იმ ერთადერთ სიყვარულს, რომელმაც იმ უბედურების ჟამს ლექსები აწერინა. ხვდება, ხვდება ამას კა და სწორედ ამიტომ ვერ უგზავნის ვერც ერთ წერილს მას, ვისაც სიყვარულით და სიყვარულის გამო... უღალატა.

მე მგონი, ეს ნამდვილად ღალატი იყო და გამართლება კას ქმედებას არ აქვს. ალბათ, სწორედ ამიტომაც არ შემორჩა არც ერთი იმ ლექსთაგან, რომელიც იმ განუმეორებელ დღეებში იყო დაწერილი. ის სიყვარული, ის თვითძიება, ის ნათელი მოგონებები საბოლოოდ შეიბღალა, დაიჩრდილა, შერცხვენილ იქნა ღალატით და ამ ლექსებს არსებობის უფლება ჩამოართვა ბედისწერამ.

ორჰან ფამუქის „თოვლის“ კითხვისას მონიშნული თითქმის ყველა ადგილი დავაკომენტარე. ზოგან მხოლოდ ციტატები ამოვწერე უცვლელად და უკომენტაროდ.

მაინც, რატომ მომეწონა ეს რომანი?

საერთოდ, ვცდილობ მოდას არ მივსდიო არაფერში. როგორც ერთი პოპულარული რუსული ტელეგადაცემის წამყვანი, მოდის ისტორიკოსი, იმეორებს ყოველი გადაცემის დაწყებისას ***„Следовать моде смешно, я не следую моде я хожу глупо“*** – მოდაზე მიდევნება სასაცილო რამედ მეჩვენება, მაგრამ საერთოდ ჩამორჩენაც სისულელეა.

ამიტომ, ფამუქის ბუმმა გვერდით ჩამიარა, რადგან შორს ვარ, გეოგრაფიულად შორს ვარ, აქტიური ქართველი მკითხველისაგან. ფამუქის სახელი მაშინ გავიგე პირველად, როდესაც ჩემი ხელოვნებათმცოდნე ძმისშვილი აღფრთოვანებით საუბრობდა „უმანკოების მუზეუმზე“, უფრო სწორად იმაზე, თუ როგორ დააანონსა ეს რომანი მისმა ლექტორმა.

დამაინტერესა...

მაგრამ რომანი ძალიან ძვირი ღირდა.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ ძმისშვილთან ვნახე „უმანკოების მუზეუმი“, იმ ლექტორს მიეცა წასაკითხად.

დავიწყე კითხვა... მაგრამ არც დრო და არც სიტუაცია ხელს არ მიწყობდა ეს საკმაოდ დიდი მოცულობის წიგნი წამეკითხა. მაგრამ რამდენიმე თავის წაკითხვის შემდეგ ვიგრძენი, რომ საკმაოდ საინტერესო და თვითმყოფად მწერალთან მქონდა საქმე.

მაგრამ ეს დაინტერესება გაღიზიანებით შემიცვალა ვიღაცამ... ვინ – ნამდვილად არ ვიცი, იმიტომ რომ არ მახსოვს, ინტერნეტის უკიდეგანო სივრცეში სად (ფეისბუკის სტატუსად ჰქონდა ვინმეს თუ ბლოგზე, არ მახსოვს) წავიკითხე ფრაზა – „სვეტსკობისთვის კითხულობენ ფამუქს“, ამ ფრაზამ საერთოდ გამიქრო ფამუქის წაკითხვის სურვილი.

არ მინდოდა, ამ აგდებული, დამცინავი და შეურაცხმყოფელი ფრაზის ადრესატი მეც ვყოფილიყავი.

მაგრამ, როცა „სანტა ესპერანსაში“ მოვხვდი (გახსოვთ, ალბათ, ეს წიგნების მაღაზია აღმაშენებლისა და უზნაძის დამაკავშირებელ პატარა ქუჩაზე), ფამუქმა დამიძახა.

წიგნების მესამე რიგში, ქვედა თაროზე იდგა.

იყო „უმანკოების მუზეუმი“, „თოვლი“ და კიდევ ერთი მისი რომანი.

ამ თაროს წინ ჩავიმუხლე და წიგნებს თვალიერება დავუწყე. პირველი 19 ლარი ღირდა, მეორე – 16. ფასი არჩევანზე აშკარად გავლენას ვერ ახდენდა.

გავლენა მოახდინა სათაურმა – „თოვლი“, თოვლი ძალიან მიყვარს.

არჩევანზე გავლენა მოახდინა პირველმა აბზაცმა – „უხმოა თოვლიო... ეს რომ ლექსის დასაწყისი ყოფილიყო, თავის გრძნობას თოვლის სიჩუმეს დაარქმევდა“.

თოვლის სიჩუმის გრძნობა იმდენად ჩემი იყო, რომ გადავწყვიტე „თოვლი“ მეყიდა. მით უმეტეს, რომ ავტორი, წიგნის გარეკანიდად კამათს მპირდებოდა. მე კი ძალიან მიყვარს კამათი, რადგან მართლა ვთვლი, რომ კამათში ნამდვილად იბადება ჭეშმარიტება. მით უმეტეს, ჭკვიან ადამიანთან კამათში – ფამუქის სიჭკვიანე კი ნობელის პრემიას აქვს დადასტურებული.

მოკლედ, ასე დავრჩით მე და „თოვლი“ ერთმანეთის პირისპირ გრძელ, თოვლიან საღამოებთან ერთად.

ეს არ არის სასიყვარულო რომანი, რომლითაც შეიძლება აღფრთოვანდეს ახალგაზრდა გოგო ან სენტიმენტალური ქალი. თუმცა, სიყვარულს ამ რომანში დიდი ადგილი და უმთავრესი როლი აქვს (ბოლომდე მაინც ვერ გავარკვიე ეს სიყვარული იყო თუ რამე სხვა, რასაც სახელს ვერ ვუძებნი).

ეს არც პოლიტიკური რომანია, თუმცა სისხლიანი პოლიტიკური გადატრიალება ხდება, მაგრამ, როგორც თავად პოლიტიკა, ეს გადატრიალებაც ფარსი აღმოჩნდა, თუმცა ბევრი უდანაშაულო და უმანკო სიცოცხლე შეიწირა.

ეს არ არის ფილოსოფიური რომანი ან თეოლოგიური ტრაქტატი, თუმცა, ამ რომანში ბევრი რამ არის რელიგიაზე, რწმენაზე, მის დაცვაზე და დაცვის მეთოდებზე, ადამიანის „მე“-ზე, მის ადგილსა და დანიშნულებაზე. გმირები ბჭობენ, კამათობენ – შენც ერთვები ამ კამათში და შენც ფიქრობ მათთან ერთად, რაღაცაში ეთანხმები, რაღაცაში არა.

ორჰან ფამუქი წერს: ***„ეს რომანიც პოსტმოდერნისტულია. მე არ გეუბნებით, აი, სიმართლე, აი, რეალობა-მეთქი. მე ვწერ იმას, რაც სარკეში ირეკლება და როგორც შემიძლია, ვკამათობ ამაზე“.***

სწორედ სარკეში არეკლილ რომანს დავარქმევდი „თოვლს“, რომელიც ყველაფერს ზუსტად იმეორებს, მხოლოდ იმ, ირეალურ სამყაროში; თითქოს არის და თითქოს არ არის კიდეც. მაგრამ რეალობა რომ არ არსებობდეს, სარკეშიც არაფერი აირეკლება.

სწორედ ამიტომ მომეწონა ეს რომანი, რომ მასში, როგორც სარკეში, არეკლილია სიყვარული, მაგრამ სიყვარულია კი?

მასში, როგორც სარკეში, არეკლილია პატარა ყარსის პოლიტიკური ცხოვრება, მაგრამ პოლიტიკაა ეს ყველაფერი?

მასში, როგორც სარკეში, არეკლილია ადამიანის, პიროვნების ფილოსოფიურ-თეოლოგიური ძიებანი, მაგრამ სარკეში არეკლილი ძიება მხოლოდ და მხოლოდ ძიებად რჩება და მას არსად არ მივყავართ, გზა არ ჩანს სარკეში, რადგან ყველაფერი თოვლმა დაფარა. არა მხოლოდ ზეციდან გამოგზავნილმა ლამაზმა ექვსკუთხა ფანტელებმა, არამედ ადამიანთა გულგრილობამ, რომელიც მიუხედავად გმირების ვითომ მოქმედებისა, ცეცხლოვანი ემოციური ტირადებისა, მაინც გულგრილობის ცივ საფარქვეშ არიან მოქცეულნი და გზას ვერ ხედავენ, ვერ პოულობენ.

ელოდებიან, რომ ვიღაც მოვა და გააკეთებს მათ გასაკეთებელს.

ეს, სამწუხაროდ, ჩვენი დროის უკურნებელი სენია – გულგრილობა და იმის მოლოდინი, რომ ვიღაც მოვა და გააკეთებს შენს გასაკეთებელს.

ვამბობთ და ვქადაგებთ ერთს და ვაკეთებთ მეორეს, უფრო სწორად, არაფერსაც არ ვაკეთებთ.

მიედინება ჩვენი ცხოვრება, როგორც ყარსის ერთნაირი თოვლიანი დღეები და ამ გულგრილობის თოვლში შეიძლება გამოჩნდეს ვიღაც, ვინც გულგრილად გასწირავს თავისი ამბიციებისათვის, თავისი იდეებისათვის ხალხს, რომლებსაც არც კი იცნობს, არც აინტერესებს ისინი, ის კი არა და, საკუთარ თავსაც კი გასწირავს, რადგან არც ის აინტერსებს ვინმეს და მხოლოდ სიკვდილით შეიძლება რაღაც დროით გამოიწვიოს ინტერესი საკუთარი პერსონისადმი.

ასე რომ, ეს რომანი მრავალწახნაგა და მრავალქიმიანია, როგორც თოვლის კრისტალიზებული ფიფქები.

ნამდვილად ბევრ რამეზე დამაფიქრა, ბევრ რამეში დამარწმუნა და, უბრალოდ, იცით, ვისიამოვნე ამ რომანის კითხვისას.

ევროპული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ აშკარა რაციონალურობასთან და დახვეწილობასთან ერთად, მასში უხვად არის ის აღმოსავლური სიტკბო და ხიბლი, რომელიც თვით რუსთაველსაც კი განუმეორებლობას სძენს (უდავოდ, ყოველივე ამის ქართველ მკითხველთან მოტანა მთარგმნელის დამსახურებაცაა).

რომანის კითხვისას სულ მახსენდებოდა ფრაზა ცნობილი საბჭოთა ფილმიდან – „Восток дело тонкое“, ნამდვილად სათუთია აღმოსავლეთი, ზედმიწევნით დახვეწილი და მშვენიერი.

ამაზე ჩემგან საუბარი უხერხული იქნება, რადგან აღმოსავლეთის ქვეყნებში ნამყოფი არ ვარ, მაგრამ...

მხოლოდ ერთს ვიტყვი: ფამუქის „თოვლმა“ ჩემზე ისეთივე შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც ბორჯომში შემორჩენილმა ფირუზას სასახლემ.

ინგა ბაგრატიონი

წყალბურთელთა გამარჯვება

უჩვეულო წარმატება მოიპოვა ახალგაზრდა წყალბურთელთა გუნდმა (1996-97 წლებში დაბადებულები), რომელმაც ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა. ეს გამარჯვება უჩვეულო იმდენადაა, რომ სულ რაღაც 2-3 წლის წინ წყალბურთზე ლაპარაკიც არ იყო, მაგრამ ბოლო წლებში სპორტის ამ სახეობამ დიდი პროგრესი განიცადა.

შესარჩევ ეტაპს თბილისმა, სპორტკომპლექსმა „ოლიმპიკმა“ უმასპინძლა. ჩვენებმა წაუგებლად ჩაატარეს მთელი ტურნირი. არადა, ძლიერი მეტოქეები ჰყავდათ – სლოვაკეთი, ჰოლანდია, გერმანია... თუმცა, ქვეჯგუფის პირველი პაექრობა აუტსაიდერ მოლდოვასთან გამართეს და დიდი ანგარიშითაც მოიგეს – 16:6. ეს გამარჯვება დიდად არავის გაჰკვირვებია, თუმცა მეორე შეხვედრაში სლოვაკებთან 13:5 წარმატება იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, წარდგენილი ოქმის სისწორე თურმე თვით საერთაშორისო ფედერაციიდანაც კი გადაამოწმეს, რამე ხომ არ შეგეშალათ, ნამდვილად საქართველომ მოიგოო. ეს უკვე ჯგუფიდან გასვლაზე სერიოზული განაცხადი იყო იმის მიუხედავად, რომ წინ მთავარ ფავორიტებთან შეხვედრები რჩებოდა. ჩვენებს თავი არც იქ შეურცხვენიათ – გერმანელებთან ფრედ ითამაშეს – 7:7, ჰოლანდიელებს კი დაძაბულ ბრძოლაში 10:9 აჯობეს და ჯგუფში 10 ქულით პირველ ადგილზე გავიდნენ.

როგორც გითხარით, ბოლო წლები ქართული წყალბურთის აღორძინების ხანაა – ეროვნული ნაკრებიც აქტიურად ათამაშდა და კლუბებიც ჩაებნენ ევროტურნირებში, მაგრამ ისინი ნატურალიზებული პოსტიუგოსლავიელებით არიან გადატენილნი, ახალგაზრდული ნაკრები კი თავიდან ბოლომდე ქართველი მოზარდებით, საქართველოში აღზრდილი სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული. ამ გუნდში უცხოელი მხოლოდ მწვრთნელია – სერბი **იოვან პოპოვიჩი**. მათი ეს მასშტაბური წარმატებაც ამიტომაა ორმაგად გასახარი. კარგი იქნება, სახელმწიფო უფრო მეტ ყურადღებას თუ დაუთმობს წყალბურთს, ზოგადად – საწყლოსნო სახეობებს, ამ საქმეში კი განსაკუთრებით უნდა იაქტიუროს განათლების სისტემამ და აქტიურად დანერგოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (საბავშვო ბაღების ჩათვლით) – ცურვა და წყალბურთი ხომ მრავალმხრივ სასიკეთოა ორგანიზმისთვის, როგორც სამკურნალო-გამაჯანსაღებელი საშუალება, რომელიც ესთეტიკურადაც ავითარებს ადამიანს, ამშვიდებს ნერვულ სისტემას და სხვ. ამ ყველაფერს კი სპორტული მიღწევებიც აგვირგვინებს.

დასასრულს გეტყვით, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი 8-15 სექტემბერს მალტაში გაიმართება.

საიმედო თაობა

ამ უქმეებზე ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში დამთავრდა საქართველოს პირველობა პნევმატური პისტოლეტიდან ტყვიის სროლაში, რომელშიც უფროსების გარდა, ახალგაზრდებიც მონაწილეობდნენ. ტურნირში მორიგ წარმატებას მიაღწია და კიდევ ერთხელ დაამტკიცა საკუთარი ოსტატობა 13 წლის ქუთაისელმა **ლიზი კილაძემ**, რომელმაც თანატოლთა შორის არავის დაუთმო პირველობა. თუმცა ოქროს მედალზე მეტად საყურადღებო მისი შედეგია – 373 ქულა. შედარებისთვის გეტყვით, რომ ქალებში გამარჯვებულმა ოლიმპიურმა, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა **ნინო სალუქვაძემ** 379 ქულით გაიმარჯვა. მართალია, ეს მისთვის ძალზე დაბალი შედეგია, მაგრამ კილაძეს უფროსებში რომ ეასპარეზა, ვერცხლის მედალს მოიპოვებდა, რადგან იქაურ მედალოსნებს ბევრად გაუსწრო ქულებით.

გოგოებში ვერცხლი თბილისელმა **ანა გაგილაძემ** დაისაკუთრა 368 ქულით, ბრინჯაო – **მარიამ მაღრაძემ** 364-ით. სხვათა შორის, ამ მაჩვენებლებით უფროსებში პრიზიორებში ესენიც მოხვდებოდნენ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, ნიჭიერი თაობა რომ იზრდება და მათ მეტი ხელშეწყობა, მეტი შეჯიბრებები და შეკრებები სჭირდებათ. არადა, სამწუხაროდ, ამის ფუფუნება ნამდვილად არ აქვთ.

ამავე ასაკის ბიჭებში ჩემპიონობა **მიხეილ სანიკიძემ** მოიპოვა, ვერცხლი – ნინო სალუქვაძის შვილმა **ცოტნე მაჭავარიანმა**, ბრინჯაო – **ივანე ჭანკვეტაძემ**. აღსანიშნავია, რომ კილაძის გარდა, ხუთივე მედალოსანი სალუქვაძის ტირში ვარჯიშობს. მისასალმებელია, რომ სახელოვანი სპორტსმენი სამწვრთნელო ასპარეზზეც აღწევს შედეგებს, თუმცა იქ სხვა მწვრთნელებიც მუშაობენ.



ჭაბუკთა წარმატება

ჩვენთვის უჩვეულო ამბავი მოხდა ანტალიაში, ჭაბუკ მოჭიდავეთა XVI საერთაშორისო ტურნირზე „ვიქტორიას თასი“, სადაც მედალი ქართველმა მოჭიდავე გოგონამაც მოიპოვა – 38 კილოგრამში სახელოვანი ფალავნის, ევროპის ორგზის ჩემპიონისა და მსოფლიოს მესამე პრიზიორ **დავით პოღოსიანის** აღზრდილი გორელი **გვანცა კარელიძე** მეორეზე გავიდა. ქალთა ჭიდაობაში ეს ჩვენი პირველი მედალია.

ტურნირში საქართველოს დელეგაცია დიდი წარმატებით გამოვიდა – ბიჭებმა ჯამში 15 მედალი მოიპოვეს. აქედან 4-4 ოქრო-ვერცხლია და 7 – ბრინჯაო.

ბერძენ-რომაელებმა 9 მედალი – 2-2 ოქრო-ვერცხლი, 5 ბრინჯაო და გუნდური მეორე ადგილი მოიპოვეს. ჩემპიონები **ლევან ქავჟარაძე** (58) და **გიორგი მელია** (60) გახდნენ, **დავით ჩხარტიშვილი** (50) და **გიგა ქოქალაძე** (85) მხოლოდ ფინალში დამარცხდნენ, **თორნიკე ჭელიძე** (42), **გიორგი კურტანიძე** (54), **გიორგი გუჯაბიძე** (58), **ნუკრი შავაძე** (76) და **ზვიად პატარიძე** (100) კი მესამეზე გავიდნენ.

„თავისუფლებმა“ სამივე სინჯის 2-2 მედალი ირგუნეს, რითაც გუნდურ ჩათვლაში მესამეზე გავიდნენ. საჩემპიონო ტიტულს **შმაგი თოდუა** (46) და **ტარიელ გაფრინდაშვილი** (63) დაეუფლნენ, ვერცხლის მედლები **გიორგი პასიკაშვილმა** (50) და **გივი მაჭარაშვილმა** (76) მოიპოვეს, ბრინჯაოს პრიზიორები კი **რამაზ ზოიძე** (58) და **კონსტანტინე გაბაშვილი** (85) გახდნენ.

ჯანაშვილის მორიგი მიღწევა

პოლონურ ბიელსკო ბიალაში დასრულებულ ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის თასზე ჩვენებმა თითო-თითო ოქრო-ვერცხლი მოიპოვეს. აქედან ოქრო ბიჭების გუნდზე მოდის, რომელსაც **ჯაბა მუმლაძე** (+90) დაეუფლა, ვერცხლი კი გოგონებში **მარიამ ჯანაშვილმა** (52) მოიპოვა. ტურნირში ორივე გუნდი არასრული შემადგენლობით გამოდიოდა, თუმცა გოგონების ნაკრებისთვის ეს ერთი მედალიც თუ წარმატებაა, ბიჭებზე ამას ვერ ვიტყვით – მათგან ბევრად მეტს ველოდით იმის მიუხედავად, რომ მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი ცირეკიძემ** ლიდერთა უმეტესობა დაასვენა.

ჯანაშვილმა ფინალამდე ხუთი პაექრობა მოიგო იპონით, ასეთი სტატისტიკა კი მისი სიძლიერის მაჩვენებელია. უთუოდ სასიამოვნოა, რომ, როგორც იქნა, გვყავს ძიუდოისტი გოგო, რომელიც ამდენ ილეთს აკეთებს. საყურადღებოა, რომ მას არც ერთი ქულა არ დაუკარგავს, ხოლო თვითონ ბლომად ქულებს აგროვებდა. თავის ასაკში ჯანაშვილს გარკვეული წარმატებები უკვე მოეპოვება და, იმედია, ასეთი სტატისტიკა მალე ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზეც აისახება. მართალია, ამჯერად, ის ფინალში წმინდად დამარცხდა ფრანგ **ასტრიდე ჟენოსთან**, მაგრამ ილეთი არ გაუშვია, მეტოქემ ოთხი გაფრთხილება მიაღებინა (თვითონ ორი გაფრთხილება მიითვალა). ამის მიუხედავად, პოლონეთში მისი გამოსვლა მაინც დადებითად მიგვაჩნია.

პოლონეთში კიდევ სამი ქართველი გოგონა ჭიდაობდა – **გურანდა შოთაძე** (52), **მზია ბებოშვილი** (48) და მარიამ ჯანაშვილის უმცროსი და **ხატია ჯანაშვილი** (63). ძირითად ბადეში სამივემ თითო შეხვედრა მოიგო და მერე წააგეს. სანუგეშოში ხატია ჯანაშვილი და ბებოშვილი გადავიდნენ, მაგრამ იქაც თითო გამარჯვების შემდეგ დამარცხდნენ.

მუმლაძე მძიმედ ჩაება ტურნირში – პირველი შეხვედრა მხოლოდ იუკოთი მოიგო, მაგრამ მერე აინყვიტა და მეთოდურად უმატებდა ქულებს. ფინალში მან რუს **ტამერლან ბაშაევს** იპონით მოუგო, თუმცა მანამდე ორ იუკოს აგებდა.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

ერთიანი ეროვნული გამოცდები – 2013

ტესტი რუსულ ენაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტი და ტესტის პასუხების ფურცელი. ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების პირობას და ისე შეასრულეთ დავალებები. პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე.

გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხის მონიშვნისას

პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი.

ამ ნომრის ქვეშ მოცემულ უჯრებში X-ით აღნიშნეთ თქვენ მიერ არჩეული პასუხი. მაგალითად, თუ მე-3 საკითხის პასუხად აირჩიეთ პასუხის Б ვარიანტი, მაშინ პასუხების ფურცელზე უნდა მოძებნოთ მე-3 საკითხის დავალების რიგი და ამ რიგში, პასუხის (Б) სვეტის შესაბამის უჯრაში დასვათ X ნიშანი (იხ. ნიმუში).

გაითვალისწინეთ:

თქვენ მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა სათანადო უჯრაში X-ის დასმაა.

დასაშვებია, რომ X ნიშანი გამოსცდეს თეთრ უჯრას (იხ. ნიმუში), მაგრამ იგი არ უნდა იყოს უჯრაზე მოკლე.

თითოეული საკითხის შესაბამის რიგში უნდა მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი, ანუ მხოლოდ ერთ უჯრაში დასვათ X ნიშანი. თუ რიგში ერთზე მეტ X ნიშანს დასვამთ, ამ საკითხის არც ერთი პასუხი არ ჩაითვლება სწორად.

თუ გსურთ პასუხების ფურცელზემონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი, და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). ელექტრონული პროგრამა არჩეულ პასუხად მხოლოდ X ნიშნიან უჯრას აღიქვამს (იხ. ნიმუში, საკითხები 2 და 3).

შეუძლებელია ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ (ანუ ის პასუხი, რომლის შესაბამისი უჯრა უკვე მთლიანად გააფერადეთ). ამიტომ გადასწორების წინ დაფიქრება გმართებთ.

ნიმუში:



არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი, დავალება რომელშიც მითითებული იქნება თქვენი სახელი ან გვარი, არ გასწორდება!

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 2 საათი და 15 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

ЗАДАНИЕ 1

- Прочитайте описания ситуаций (1-12). Затем прочитайте объявления (А-З) и определите, какому из объявлений соответствует каждая ситуация.
- Учтите: одному объявлению могут соответствовать одна и более одной ситуации.
- Ответы перенесите в лист ответов.

1. Ваш брат хочет читать статьи по вопросам экономики на английском языке _____

2. Вас интересуют мнения аналитиков-политологов о событиях в мире. _____

3. Вам нравится на досуге решать ребусы _____

4. Хотите проверить способности брата-первоклассника к рисованию. _____

5. Мечтаете о собственном бизнесе, но не знаете, с чего начать. _____

6. Ваша сестра-дошкольница хочет «читать свой журнал». _____

7. Для реферата Вам требуются материалы о жизни и деятельности известных банкиров. _____

8. Вы с отцом хотите получать информацию о последних событиях в мире из газет. _____

9. Ваш друг интересуется вопросами религии. _____

10. Ваша подруга любит читать современную прозу в журналах _____

11. Вы решили отправиться путешествовать, хотите больше узнать о странах Азии. _____

12. Вас интересует жизнь и творчество великих художников _____

А

«Независимая газета» не признает контроля властей и старается быть по-настоящему независимой. Еженедельно газета публикует статьи с анализом и комментариями специалистов по вопросам политики, науки, культуры, религии в нашей стране и за рубежом.

Б

«Профиль» – журнал, который публикует статьи об известных экономистах, политиках, финансистах. Издание адресовано студентам экономических факультетов университетов, а также ученикам старших классов школ.

В

«Собеседник» – развлекательная газета, которая публикует материалы об отечественных и зарубежных актёрах театра и кино, о сенсациях в светской жизни. На последней странице газеты – игры, головоломки и кроссворды.

Г

«Огни» – журнал для всей семьи. В каждом номере – детективы или повести, написанные отечественными и зарубежными писателями в последние годы. Украшают журнал цветные репродукции шедевров мировой живописи с биографическими сведениями об их авторах.

Д

«Фокус» – финансово-экономический журнал, который переводится на все европейские языки. Журнал может помочь начинающим предпринимателям практическими советами и рекомендациями.

Е

«Весёлые картинки» – ежемесячный журнал для самых маленьких. На страницах журнала печатаются рассказы и сказки в картинках. Два раза в год журнал проводит конкурс на лучший детский рисунок.

Ж

«Караван» – журнал с увлекательными и разнообразными материалами об истории и обычаях народов разных государств. Читатель получит полную информацию об интересующих его странах.

З

«Московский комсомолец» – ежедневная газета, девиз которой – «Новости – наша профессия!» Оперативная подача самых последних известий со всех концов света рассчитана на представителей разных возрастов.

ЗАДАНИЕ 2

- Прочитайте текст, а затем – следующие за текстом предложения. Если их содержание соответствует содержанию текста, обведите слово «ДА», если не соответствует, - обведите слово «НЕТ». Ответы перенесите в лист ответов.

Сегодня все знают гуманную миссию Красного Креста и мало кто – историю жизни его создателя Анри Дюнана.

Анри родился в 1828 году в Женеве. Родители с раннего детства воспитывали в сыне способность чувствовать чужую боль как собственную. Днём Анри учился, а по вечерам посещал бедняков и больных.

В 23 года Анри начал работать в филиале женевского банка в Африке. Со временем, собрав немало средств, он решил открыть собственное дело. Разрешение на это мог дать только император Наполеон III, который в это время вместе с итальянскими союзниками воевал с Австрией. Прибыв в Италию, Дюнан стал свидетелем жестокой битвы при селении Сольферино. Анри поразило, что никто не оказывал помощи раненым. Он обратился к местным жителям с призывом помочь несчастным, вне зависимости от того, на чьей стороне они воевали. Его призыв был услышан: в домах, церквах, монастырях появились импровизированные госпитали.

Однажды Анри увидел, как итальянские солдаты собирались сбросить раненых австрийцев со ступеней церкви. «Не делайте этого, - крикнул он, - они ваши братья!» Солдаты послушались его, а слова «Tutti Fratelli!» - «Все мы братья!» позднее стали девизом Красного Креста. Оказание помощи раненым в военных конфликтах и войнах становится делом всей жизни Дюнана.

Так и не встретившись с императором, Анри едет в Женеву и пишет книгу «Воспоминание о битве при Сольферино», в которой говорит о необходимости создания Международного комитета помощи раненым и высказывает свои идеи по его организации. Книга оказала на всех сильнейшее воздействие. 29 октября 1863 года делегаты из 16 стран встретились в Женеве, чтобы официально утвердить основание общества «Красный Крест». Был подписан договор, вошедший в историю как Женевская конвенция. Согласно конвенции, воюющие стороны обязывались сохранять жизнь военнопленным, раненым и медикам. Для медработников был введён опознавательный знак — красный крест на белом фоне - видоизменённый швейцарский флаг. Это было символом признательности стране, представитель которой выдвинул эти идеи. Благодаря Дюнану были

→ 10

введены в обращение солдатские медальоны. В них содержались имена воюющих солдат и офицеров, что позволяло опознавать тяжелораненых и погибших.

Поглощённый гуманитарной миссией, Дюнан забросил бизнес, обанкротился и надолго исчез из поля зрения общественности. Впоследствии выяснилось, что около восемнадцати лет Анри провёл в лечебнице для бедняков, где его случайно обнаружил один швейцарский журналист. Его интервью с Дюнаном было перепечатано европейскими газетами. С этого времени в жизни Дюнана началась новая эра – последовали награды, признание. Российское общество Красного Креста установило великому гуманисту пенсию в размере тысячи рублей золотом.

В 1901 году была учреждена Нобелевская премия мира, Дюнан стал её первым лауреатом. Все средства, полученные от Нобелевского комитета, он передал филантропическим организациям.

Умер Дюнан в 1910 году. Надгробный камень на его могиле изображает опустившегося на колени человека, подающего воду раненому солдату.

1. Сегодня никому не надо объяснять, что такое Красный Крест. _____ ДА / НЕТ

2. С малых лет родители развивали в сыне чувство сострадания. _____ ДА / НЕТ

3. В свободное от занятий время Анри лечил бедняков. _____ ДА / НЕТ

4. В Италии Анри стал очевидцем сражения. _____ ДА / НЕТ

5. По просьбе Анри были построены новые госпитали. _____ ДА/ НЕТ

6. Девиз Красного Креста был предложен итальянскими солдатами. _____ ДА / НЕТ

7. Встречу с Наполеоном Анри описал в своей книге. _____ ДА / НЕТ

8. 29 октября считается днём рождения «Красного Креста». _____ ДА /НЕТ

9. Анри Дюнан был родом из Швейцарии. _____ ДА / НЕТ

10. По инициативе Дюнана сотрудникам Красного Креста выдавались медальоны. _____ ДА /НЕТ

11. После долгих лет безвестности Дюнана нашёл журналист. _____ ДА / НЕТ

12. Благодаря Дюнану была учреждена Нобелевская премия мира. _____ ДА / НЕТ

ЗАДАНИЕ 3

- Данный текст поделен на 6 абзацев.
- Прочитайте текст и к каждому абзацу подберите соответствующий заголовок. Учтите, что два заголовка лишние.
- Ответы перенесите в лист ответов.

А. Все дороги ведут в Рим

Б. Правила дорожного движения для животных

В. Путешествуем с улыбкой

Г. Тише едешь – дальше будешь! Д. Столбы у дороги

Е. Победа символа над словом

Ж. Долой неравноправие!

З. Находчивость далёких предков

1. _____ Дорожными «указателями» люди пользуются с глубокой древности. Для обозначения маршрута изобретательные путешественники прошлого надламывали ветки деревьев, устанавливали вдоль дорог камни и даже скульптуры, делали рисунки на скалах. Так, рисунок, изображающий череп и кости, предупреждал путников о близости опасной горной дороги или болота, тряпка, привязанная к ветвям, - о наличии в лесу медведей...

2. _____ Система дорожных знаков возникла в Древнем Риме при Юлии Цезаре. Он первым из правителей регламентировал дорожное движение. Один из его указов запрещал римлянкам управлять колесницами. Принятие этого закона сопровождалось волнениями и выступлениями разгневанных дам.

3. _____ Вдоль древних дорог Италии, большая часть которых и сегодня используется автомобилистами по прямому назначению, римляне ставили таблички с точным указанием расстояния до столицы. Там, в самом центре города, перед зданием форума стоял бронзовый столб, называемый „золотым“. Именно к нему стремились и возле него сходились все магистрали великой империи.

4. _____ Первые дорожные знаки, привычные для нас, возникли в конце XIX века в связи с появлением автомобильного транспорта. Инициатором этого нововведения стала английская полиция: пешеходов пугала «бешеная» скорость первых автомобилей. Немного позже с этой же проблемой столкнулись во Франции, в Париже. Тогда и там появились указатели с надписями и рисунками, которые предупреждали водителей об опасности быстрой езды и ограничивали скорость движения автотранспорта.

5. _____ Указателями с надписями и рисунками пользуются во многих странах и сегодня. Многие из них очень забавны. Так на Кипре в период сбора винограда можно встретить знак с надписью: «Шоссе скользкое из-за виноградного сока! Будьте осторожны!», а в Голландии водители могут получить оригинальный совет: «Этот мост не ремонтировался сорок лет! Поворачивайте-ка лучше назад!» В Швеции есть знак, который изображает семейство лосей, в Чехии – оленей, а в Австралии - крокодилов. Знаки эти вызывают смех и поднимают настроение водителей.

6. _____ В 1968 году развитые страны мира подписали Международную конвенцию о правилах дорожного движения, которая отдала предпочтение знакам с условными обозначениями, а не с надписями. Эти знаки воспринимаются быстрее, так как их не требуется читать и в темноте они видны лучше. Дорожные знаки разных стран создаются по единым правилам, поэтому их «язык» понятен водителям всего мира.

ЗАДАНИЕ 4

- Прочитайте текст. Затем прочитайте предложения (1-8) и варианты их продолжений
(А, Б, В, Г).
- Из предложенных вариантов выберите правильный и перенесите его в лист ответов.

Для меня детство – это мой дедушка, прошедший репрессии, лагеря, войну. Но про лагеря и войну мне, ребёнку, он никогда не рассказывал. Это потом я узнала, как, сбежав из плена, скитался он по лесам вместе с другими заключёнными, как они едва не погибли зимой от голода и холода. Как он чудом остался жив, рассказать уже, увы, некому.

Дедушка никогда не вёл поучительных бесед, не делал замечаний, просто жил и ценил всё до мелочей. Сколько раз я видела, как бережно относился он к каждому куску хлеба, к каждой крошке.

Дедушка привел меня к Богу. Он не садился за стол и не ложился спать, не прочитав молитву и не перекрестившись. Когда я, пионерка и, конечно, атеистка, насмешливо поинтересовалась – так сколько богов-то? Вон у вас один, у мусульман - другой, у буддистов - третий… Он спокойно взял в руку яблоко и спросил: «Это что?» «Яблоко», - ответила я. «А как оно называется по-французски? А по-английски? А на немецком языке?» - и, не вдаваясь в полемику, вышел.

Дедушка никогда не повышал голос. Впрочем, он не был и особо ласковым, но мы с сестрой его просто обожали. Вечером, вернувшись с работы, немного отдохнув, дедушка спрашивал: «Ну что, поедем кататься?» Мы быстро сбегали по лестнице и устраивались на заднем сиденье машины. Бабушка же, не торопясь, спускалась, набрав с собой яблок, пирожков и прочей разной вкуснятины. А потом мы катались по окрестностям вчетвером, распевая песни военных лет.

Детство - это бабушка. Добрейшей души женщина, ласковая, мягкая, но с поразительной силой духа и характера. Во время войны, в оккупации бабушка вместе с детьми жила в деревне на Кубани. Она была высокой, красивой, и какой-то немец стал к ней приставать. Не задумываясь о последствиях, бабушка влепила ему пощёчину. Через какое-то время к её дому подъехал грузовик. Из него стали выпрыгивать солдаты с автоматами. Они выстроились, образовав проход. Увидев эти приготовления, бабушка быстро собрала детей, велела им бежать в лес через огороды, а сама, гордо подняв голову, вышла навстречу немецкому офицеру. Тот жестом показал на обидчика – этот? И получив положительный ответ, велел солдату извиниться. Затем офицер извинился сам за недостойное поведение подчинённого, после чего все погрузились обратно в машину и уехали. Такого поворота событий бабушка явно не ожидала...

А ещё детство – это любовь дедушки и бабушки, которую мы с сестрой наблюдали ежедневно. Только уважительные и ласковые слова. И никаких других. Ни между собой, ни по отношению к нам. Может быть, именно поэтому и мы с сестрой за все наши годы ни разу не поссорились.

И ещё детство – это когда всё, что ожидает впереди, кажется просто сладким сном, полным замечательных приключений, увлекательных путешествий и добрых сказок…

Ирина Ланская

1. Во время войны дедушка...

А. ребёнком скитался по лесам.
Б. побывал в плену.
В. часто вспоминал детство.
Г. воевал вместе с заключёнными.

2. Дедушка Ирины …

А. никого не учил жить.
Б. считал себя вправе поучать внуков.
В. не любил выслушивать нравоучения.
Г. был прекрасным рассказчиком.

3. Благодаря дедушке Ирина стала …

А. пионеркой.
Б. атеисткой.
В. верить в Бога.
Г. изучать языки.

4. Ирина вспоминает, как …
А. они вчетвером ездили кататься на машине.
Б. бабушка собирала яблоки.
В. дедушка учил её петь.
Г. нежен был с ней дедушка.

5. Бабушка...
А. получила пощёчину от немецкого солдата.
Б. прятала своих детей в огородах.
В. получила письменные извинения от немецкого офицера.
Г. была удивлена поступком офицера.

6. Ирина считает, что хорошие отношения с сестрой сложились у неё …
А. благодаря примеру старших.
Б. только благодаря бабушке.
В. только благодаря дедушке.
Г. благодаря наставлениям старших.

7. По мнению Ирины, детство – это …
А. сладкие сновидения.
Б. родные люди, их любовь, надежда на будущее.
В. сказки, услышанные от любимых людей.
Г. увлекательные путешествия с близкими людьми.

8. Цель автора – ...
А. поделиться с читателями воспоминаниями.
Б. напомнить о тяжёлом военном времени.
В. рассказать грустную историю своего детства.
Г. рассказать о семейных традициях.

ЗАДАНИЕ 5

- Прочитайте текст и вместо пропусков (1-12) вставьте подходящие по смыслу слова (А-О).
- Каждое слово можно использовать только один раз.
- Учтите, что два слова лишние.

Букву, соответствующую выбранному слову, перенесите в лист ответов.

всегда (А)	любви (Е)	раньше (Л)
выдать (Б)	много (Ж)	решил (М)
добраться (В)	принесёт (З)	рос (Н)
забыл (Г)	продолжалось(И)	сложил (О)
легендарный (Д)	разбил (К)	

Каждая страна имеет своё национальное растение и свой национальный цветок. Понятие «национальный цветок» очень древнее: оно зародилось _____ (1), чем в большинстве стран утвердились государственные флаги. Национальный цветок швейцарцев – эдельвейс, _____ (2) цветок влюблённых, изящные стебельки которого венчают лепестки, напоминающие звёзды. Эдельвейс является символом счастья и _____ (3).

Народ _____ (4) об эдельвейсе множество легенд. Вот одна из них. Давным-давно один могущественный король решил _____ (5) замуж свою красавицу - дочь. Но принцесса сказала, что выйдет замуж лишь за того, кто _____ (6) ей звёздный цветок – эдельвейс. Желающих стать зятем короля было _____ (7). Но стоило им увидеть неприступную гору, где _____ (8) эдельвейс, как они пугались и пускались в обратный путь. Однако были и такие, которые пытались _____ (9) до звёздного цветка и находили свою смерть.

Так _____ (10) много лет. И вот однажды смелый рыцарь _____ (11) испытать свою судьбу. Долго шёл он до вершины горы. В кровь _____ (12) руки и ноги, но всё же сорвал белоснежный эдельвейс. Увидев прекрасный цветок, принцесса полюбила рыцаря, однако он отказался взять её замуж… Перед ним стояла состарившаяся женщина.

ЗАДАНИЕ 6

- Прочитайте текст. Заполните пропуски (1-12) недостающими предлогами, союзами, союзными словами.
- Каждый раз используйте не более **одного** служебного слова. Слова **могут повторяться**.
- Ответы перенесите в лист ответов.

Сегодня трудно себе представить, что древние тексты представляли собой непрерывный поток букв, уложенных в строки _____(1) каких-либо знаков препинания. Лишь в XIV веке произошло разделение текста на слова. Делалось это небольшой точкой, которую _____(2) праву можно считать родоначальницей пунктуации. Ведь неслучайно слово «точка» вошло _____(3) название таких знаков препинания, как точка с запятой, двоеточие, многоточие. Даже вопросительный знак назывался «точка вопросительная», _____ (4) восклицательный — точка удивления. Известна одна забавная история, связанная с этими знаками. Виктор Гюго был человеком серьёзным, _____ (5) иногда любил пошутить. В день выхода своей книги он захотел узнать, _____ (6) идёт её распродажа. Он послал издателю записку, в которой стоял только вопросительный знак. Ответ издателя был не менее остроумным и кратким. _____(7) пустом листе бумаги он написал: „!“.

Потребность в знаках препинания появилась в связи _____(8) возникновением

книгопечатания. В середине XV века итальянские типографы изобрели пунктуацию, _____(9) была принята многими европейскими странами. В русском языке большинство знаков препинания появляется в XVI-XVIII веках. Так, скобки встречаются в памятниках шестнадцатого века. Этот знак назывался «вместительным». Многоточие и тире под названием «молчанка» относятся _____(10) более поздним знакам. Предполагалось, _____(11) тире изобрёл Карамзин, но недавно выяснилось: Карамзин лишь способствовал его популяризации. Начало научному изучению пунктуации было положено Ломоносовым _____(12) его книге «Российская грамматика».

ЗАДАНИЕ 7

- В тексте в скобках даны слова (1-16) в исходной форме.
- Раскройте скобки, поставьте слова в нужной форме.
- Ответы перенесите в лист ответов.

Дорогой сын!

Получил твоё письмо. Ты пишешь, что недоволен собой, что не всё у тебя получается, что почти нет_____(1.успехи). Конечно, можно отказаться от мечты стать _____ (2.математик) и бросить учёбу в университете. Но на твоём _____(3.место) я бы не стал этого делать.

Мне кажется, что любому человеку надо, в _____ (4.первая) очередь, научиться ставить перед собой цель. Многие знаменитые исследователи, изобретатели, учёные поступали именно так. Марко Поло мечтал о _____ (5.далёкие) путешествиях и пешком добрался до Китая; Колумб хотел найти более короткий морской путь из Испании в _____(6.Индия) и открыл Америку; Эдисон мечтал о таком источнике _____ (7.электрический) света, который горел бы постоянно, и изобрёл лампочку; братья Райт хотели, чтобы человек _____(8.научиться) летать, как птица, и создали самолёт.

У каждого из этих людей было много причин отказаться от _____ (9.детская) мечты. Им мешали, им не верили, над _____ (10.они) смеялись и называли сумасшедшими , но они не сдавались. Представь себе, как долго пришлось им трудиться, чтобы осуществить _____ (11.своя) мечту. Они постоянно стремились вперёд, они верили, что даже самый маленький шаг приближает их к _____(12.цель).

«Я прожил жизнь и сделал лучшее из того, что мог». Эти слова _____ (13. сказать) о себе Эдисон, но их могли произнести все перечисленные мною люди.

Уверен, ты сможешь добиться успеха. Каждый день обязательно _____(14.говорить) себе: «Я хочу, поэтому я должен!». И для тебя _____ (15.наступить) мгновение, когда больше не придётся ничего себе приказывать. Твой мозг начнёт работать сам.

Думаю, моё письмо придаст _____(16.ты) уверенности в своих силах, и ты доведёшь начатое дело до конца.

Целую тебя крепко, отец.

ЗАДАНИЕ 8

Напишите небольшое сочинение (120-150 слов) на тему:

«Многие считают, что на карманные расходы студенты должны зарабатывать деньги сами». Что думаете по этому поводу Вы? Дайте аргументированный ответ.

შავი სამუშაოსათვის
ეს გვერდი არ გასწორდება!
საბოლოო ვარიანტი გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე!

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

ტესტი იბეჭდება
გამოცდების ეროვნულ ცენტრთან
შეთანხმებით

პირველი პერსონალური გამოფენა

წეროვანის №1 საჯარო სკოლაში ნამდვილი აღმოჩენაა მეოთხეკლასელი **შალვა სოხაშვილი.**

პატარაობიდანვე ხატვა ყოფილა შალვას გასართობი. მისი ნახატები ქმნიან საოცარ სამყაროს. შეუძლია დაგეგმოს და შეასრულოს სხვადასხვა სახის სამუშაო, შემოქმედებითად გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ელემენტების ცოდნა. ფერები ორგანულად ერწყმის ნახატის შინაარსს.

ნოემბერში სკოლაში მოეწყო შალვა სოხაშვილის ნახატების პერსონალური გამოფენა.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის ინტელექტუალური განვითარების ცენტრში ჩატარებულ კონკურსში „ნახატები ბიბლიურ თემაზე“ შალვამ მესამე ადგილი დაიკავა და დაჯილდოვდა დიპლომითა და ასლარიანი ვაუჩერით.

გვიხარია, რომ წეროვნელებს ასეთი იმედი ეზრდებათ. განსაკუთრებით უხარია ხელოვნების მასწავლებელს **ნუნუ ჯაფარიძეს**, რომელიც პატარებს ხატვის სიყვარულს უნერგავს.

მეოთხეკლასელებს ეამაყებათ, რომ მათ შორის არის ნიჭიერი მხატვარი. ისინი ყოველთვის იამაყებენ შალვას მეგობრობით.

ბევრის მომტანი იქნება შალვა სოხაშვილისათვის მომავალი სასწავლო წელი.

კეთილი და ბედნიერი იყოს შენი შესვლა ხელოვნების სამყაროში, შალვა!

დალი მუხადგვერდელი
წეროვანის №1 საჯარო სკოლის IV კლასის დამრიგებელი

მარიამ ნიკვაშვილის ჰიპერრეალისტური სამყარო

დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის III სართულის ფართო ფოიე ამავე სკოლის IX კლასის წარჩინებული მოსწავლის **მარიამ ნიკვაშვილის** პირველ პერსონალურ გამოფენას მასპინძლობდა. *„იშვიათად თუ შეხვდებით ისეთ ბეჯით, თავდადებულ, თავდაუზოგავ, კომუნიკაბელურ მოსწავლეს, როგორიც მარიამია. იგი მიმდინარე სასწავლო წელს თბილისის 50-ე საჯარო სკოლიდან გადმოვიდა ჩვენს სკოლაში და პირველი დღიდანვე მიიპყრო პედაგოგების და მოსწავლეების ყურადღება...“* – ასე ახასიათებს მას სკოლის დირექტორი **ია ლაპიაშვილი**.

მარიამის პირველი პერსონალური გამოფენა გაკვეთილების შემდეგ გაიხსნა და მის დაბადების დღეს – თხუთმეტი წლისთავს დაემთხვა. გამოფენა თავად სკოლის დირექტორმა ია ლაპიაშვილმა გახსნა. ის ხომ ბავშვების სულის მესაიდუმლეა და არაერთი საინტერესო პროექტის ავტორი.

გამოფენაზე მოწვეულები იყვნენ როგორც მასპინძელი სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები, ასევე დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის (დირექტორი – **მაია ლაპიაშვილი**) და სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის (დირექტორი – **ლალი მენთეშაშვილი**) უფროსკლასელები, განათლების, კულტურისა და მასმედიის წარმომადგენლები.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ფერადი, წვრილი მძივებით მოქარგული პეიზაჟები, ასევე გრაფიკული ნამუშევარი, რომელიც მრავალფეროვანი თემატიკით გამოირჩეოდა. ემოციებს ვერ მალავდა რესურსცენტრის უფროსი **მიხეილ ბახუტაშვილი**: *„მარიამი მთლიანადაა დახარჯული თავის შემოქმედებაში, წელიწადის დრონი – ოთხი ნახატი: „გაზაფხული“, „ზაფხული“, „შემოდგომა“ და „ზამთარი“ დახვეწილი გემოვნებით და ფერთა ჰარმონიითაა გამორჩეული“.*

მარინა შანშიაშვილი – ამავე საჯარო სკოლის პედაგოგი: *„დღეს მარიამმა თავისი ჰიპერრეალისტური სამყარო დაგვანახა. ამ საოცრებას სიტყვებით ვერავინ აღწერს, სიტყვებში არაა საქმე, გამოფენის დათვალიერების შემდეგ მთავარია შეგრძნება და არა სიტყვები...“*

დათო ყოჩიაშვილი – სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე: *„მე მარიამს ბავშვობიდანვე ვიცნობ. ჯერ მხოლოდ III კლასის მოსწავლე იყო, რომ მისი ნახატები როგორც ბავშვებს ისე უფროსებს აოცებდა, დღეს კი ხის ლამაზ ჩარჩოში ჩასმული, სხვადასხვა პერიოდში შექმნილი 25 ნამუშევარი წარმოადგინა. მისი დიდი სურვილი იყო, პირველი პერსონალური გამოფენა მშობლიურ რაიონში, თავის სკოლაში მოეწყო ასეთ თბილ გარემოში, აკი გაგვახარა კიდეც“.*

დათო ყოჩიაშვილმა თანატოლების სახელით დაბადების დღე და წარმატებული გამოფენა მიულოცა ნიჭიერ ნორჩ შემოქმედს და შემდგომი წარმატებები უსურვა.

გაზაფხულივით მღელვარე და ემოციებით სავსე მარიამ ნიკვაშვილი სიხარულს ვერ მალავდა. მან კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა დამსწრე საზოგადოებას, ამ ღონისძიების ორგანიზატორს, სკოლის დირექტორს ია ლაპიაშვილს და შეჰპირდა, რომ კვლავაც არაერთგზის მიანიჭებდა მათ ამ სიხარულს.

მარიკა პოპიაშვილი



ახალი განათლება

მთავარი
რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >